# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№99 (9779) 2024 წლის 30 აგვისტო. პარასკევი

ფასი 1 ლარი


## ციცნა და ქეთია – რა ბედი ეწია ქაქუცას ოჯახს?



6-7

## როგორ ამოშალეს მეხსიერებიდან 1924 წელი?!




## საპირფარეშოები დახვრეტილების საფლავებზე!

## საკონსტიტუციო სასამართლოში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის წინააღმდეგ სარჩელების განხილვა დაიწყო

საკონსტიტუციო სასამართლოში, გუშინ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელების განხილვა მიმდინარეობს. საქმეს სასამართლოს პლენუმი განიხილავს. მოსარჩელე მხარეები პრეზიდენტი, არასამთავრობოები და ოპოზიციონერი დეპუტატები არიან.

მათი მთავარი მოთხოვნა კანონის გაუქმება და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე სადავოდ გამხდარი ნორმების შეჩერებაა. მოსარჩელე მხარე თვლის, რომ კანონის მიღება კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს ეწინააღმდეგება.

„ვიმსჯელებთ სადავო ნორმების კონსტიტუციით დაცულ უფლებებთან მიმართებით და ასევე, გვექნება მსჯელობა იმ შუამდგომლობების ირგვლივ, რომლებიც ამ ეტაპზე დაყენებული აქვთ მხარეებს,“ – განაცხადა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ გიორგი თევდორაშვილმა.

## კანონი ძალაში უნდა დარჩეს!

ნათია იოსელიანი

## ქცევის კოდექსი ყველას სჭირდება!

2



## რუსეთ-უკრაინის ომი პენტაგონის თამაშად იქცა!!!

### კურსკის ოპერაციის სამხედრო და პოლიტიკური ფასი



4



5

## არჩილ ბერიძე ჟურნალისტისგან ოფიციალურ ბოდიშს ითხოვს

## ანა ჯაფარიძე პირველი მედალოსანია!

გუშინ პარალიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციის წევრმა ანა ჯაფარიძემ პარიზის პარა ტაეკვონდოში პირველი მედალი – ბრინჯაო მოიპოვა!

**გულითადად ვულოცავთ ჩვენს პარალიმპიელებს კარგ დასაწყისს. ეს ერთი და სხვა მრავალი!**



საქართველოს რესპუბლიკა

ეს უნდა ვიცოდეთ!

№99. პარასკევი, 30 აგვისტო, 2024 წელი



# შალვა პაპუაშვილი: ევროკავშირის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ სამართლებრივი პროცესის ინიცირების განზრახვის არადემოკრატიულად შეფასება ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის პრინციპებს

**როგორც** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** როგორც აღნიშნავს, განცხადება, თითქოს განზრახულია **„ყველა ოპოზიციური პარტიის აკრძალვა“**, უბრალოდ დეზინფორმაციაა.

იმ ფონზე, როცა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ოჩიგავა საქართველოს წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს ციხეებში შექმნილი იყო „სისტემური ძალადობის და წამების“ სისტემა, ამ რეჟიმის შემქმნელი პარტიის გამოსარჩლება წარმოადგენს ძალადობაზე დამყარებული მმართველობის დანაშაულებრივი ხასიათის დაკნინებას და სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლების მიმართ უპატივცემულობას.

სამწუხაროდ, წლების განმავლობაში, ჩვენ ამ გულგრილი დამოკიდებულების მომსწრე ვიყავით, როდესაც მძიმე დანაშაულებისთვის მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი ევროკავშირის ტერიტორიაზე უპრობლემოდ გადაადგილდებოდა და რაც კიდევ უფრო გამაოგნებელია, ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტში შეხვედრებს მართავდა. მისი დაკავების შემდეგ კი არ წყდება მცდელობები, მათ შორის, ევროკავშირის ზოგიერთი წარმომადგენლისგან, სხვადასხვა საბაბით დაიხსნან სააკაშვილი კანონიერი სასჯელისგან. იგივე ეხება, სწორედ, პატიმრების წამებისთვის მსჯავრდებულ ზურაბ ადეიშვილს, რომელიც ევროკავშირის სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირს ხვდება და მსჯავრდებულ დავით კეზერაშვილს, რომელიც თავს დღემდე ევროკავშირს აფარებს.

ქართველი ხალხის პატივისცემა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მისი სამართალწარმოების პატივისცემას, რომლის უმაღლესი სტანდარტი არაერთხელ დადასტურდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ.

დაბოლოს, ამგვარი განცხადებების გაკეთება იმ ფონზე, როდესაც თავად ევროკავშირის წევრი ქვეყნები იყენებენ სხვადასხვა ინსტრუმენტს პარტიების მიმართ, სწორი ქცევა არ არის. შეგახსენებთ, რომ გერმანიაში, მხარდაჭერით მეორე პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“, სასამართლოს დადგენილებით, უკვე წლებია, გერმანიის უსაფრთხოების სამსახურის თვალთვალის და მიყურადების ობიექტია.

**P.S.** მათთვის, ვისაც შეხსენება სჭირდება, თუ რამდენად დანაშაულებრივი რეჟიმი შექმნა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, კიდევ ერთხელ, იმ საქმეების სია, რომელზეც ეს მაღალჩინოსნები უკვე გასამართლდნენ. ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ ამნისტიის გამო, ეს განახევრებული სასჯელის ვადებია.

**პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი (კიდევ სამ საქმეზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს სასამართლო განხილვა):**

**1. გირგვლიანის მკვლელობის საქმე – 4 წელი;**

**2. დეპუტატ გელაშვილის ცემის საქმე – 6 წელი;**

**გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი (კიდევ ორ საქმეზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს სასამართლო განხილვა):**

**1. ღვინის ქარხანა „აკურას“ საქმე –1,5 წელი;**

**2. ტვ „იბერიას“ საქმე – 1,5 წელი;**

**3. კობა დავითაშვილის გატაცების და ცემის საქმე – 6 წელი**

**4. პატიმრების წამების საქმე – 4,5 წელი;**

**5. ბანკი „ქართუს“ გაკოტრების საქმე – 5 წელი.**

**თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი:**

**1. ჯარის 5 მილიონი ევროს გაქრობის საქმე – 6 წელი“...**




**ნათია იოსელიანი: დღეიდან დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია და წინასაარჩევნო აგიტაციის ფარგლებში რეგულაციები ამოქმედდა, პოლიტიკურ პარტიებს არჩევნებისთვის ქცევის კოდექსის გაფორმებას ვთავაზობთ!**

# ქცევის კოდექსი ყველას სჭირდება!

– 2024 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის არჩევნები გაიმართება. არჩევნების დანიშვნის შესახებ სამართლებრივი აქტი საქართველოს პრეზიდენტმა დღეს გამოსცა.

26 ოქტომბერს ამომრჩევლები ოთხი წლის ვადით საქართველოს პარლამენტის 150 დეპუტატს პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე აირჩევენ.

პირველად საქართველოს არჩევნების ისტორიაში, 26 ოქტომბერს საარჩევნო ადმინისტრაცია ელექტრონულ საარჩევნო ტექნოლოგიებს ყველაზე დიდი მასშტაბით გამოიყენებს და ამომრჩეველთა თითქმის 90% ხმას ელექტრონული საშუალებების – ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატების გამოყენებით მისცემს. სულ გაიხსნება 3 030 საარჩევნო უბანი, მათ შორის 2 262 უბანზე კენჭისყრა – ელექტრონული, ხოლო 768 უბანზე ტრადიციული წესით ჩატარდება.

საარჩევნო ადმინისტრაცია, რა თქმა უნდა, მზად არის და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საარჩევნო პროცესი კანონმდებლობის სრული დაცვით, გამჭვირვალედ და მაღალ პროფესიულ დონეზე წარიმართოს, რისთვისაც მზადება წელიწადზე მეტია, დაწყებულია. დღეიდან კი ოფიციალურად დაიწყო არჩევნების ორგანიზებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი საარჩევნო პროცედურების განხორციელება.

დღესვე გაიმართა ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) სხდომა. დღევანდელ სხდომაზე ცესკომ განკარგულებით სამტრედიისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნებიც დანიშნა, რომელიც, პარლამენტის არჩევნებთან ერთად, 26 ოქტომბერს გაიმართება.

დღესვე ცესკომ მიიღო განკარგულება საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისა და წევრების შესარჩევი კონკურსის წესის, პირობების, ვადებისა და არჩევის წესის განსაზღვრის, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების შესარჩევი კონკურსების გამოცხადებისა და სამდივნოს შექმნის შესახებ.

ცესკომ ასევე მიიღო განკარგულებები როგორც საქართველოს პარლამენტის, ისე საკრებულოების შუალედური არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკების დადგენის თაობაზე. დღევანდელ სხდომაზე მიღებული სამართლებრივი აქტები განთავსებულია ცესკოს ვებგვერდზე და დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა, დეტალურად გაეცნონ აღნიშნულ ინფორმაციას“, – განაცხადა იოსელიანმა.

როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის პრესსპიკერმა აღნიშნა, დღეიდან დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია და წინასაარჩევნო აგიტაციის ფარგლებში მთელი რიგი რეგულაციები ამოქმედდა.

„აქვე შეგახსენებთ, რომ დღეიდან დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია და საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული წინასაარჩევნო აგიტაციის ფარგლებში მთელი რიგი რეგულაციები ამოქმედდა, რომელთა დაცვაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საარჩევნო პროცესის დემოკრატიულად წარმართვისთვის. ამასთან, გვინდა, აღვნიშნოთ, რომ საარჩევნო ადმინისტრაციას მნიშვნელოვნად მიაჩნია, შეიქმნას დოკუმენტი, რომელიც საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების ირგვლივ გააერთიანებს არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტს და პოლიტიკურ პარტიებს სთავაზობს 2024 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის ქცევის კოდექსის გაფორმებას. პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის პროექტი, რომელიც ეფუძნება 2024 წელს ევროპის პარლამენტის არჩევნებზე გამოყენებული დოკუმენტის ძირითად პრინციპებს, საარჩევნო ადმინისტრაციამ შეიმუშავა და გაუგზავნა პოლიტიკურ პარტიებს მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით. კოდექსზე ხელმოწერა საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის პროცედურების დასრულების შემდეგ იგეგმება.

არჩევნების მაღალ პროფესიულ დონეზე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარება საარჩევნო ადმინისტრაციის უმთავრესი მიზანია და სწორედ ამ მიზანს ემსახურება ადმინისტრაციის ყველა გადაწყვეტილება თუ ქმედება. მაგრამ აქვე გვინდა, მოვუწოდოთ არჩევნებში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს, საერთაშორისო და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, მედიას, ამომრჩევლებს, აქტიურად ჩაერთონ საარჩევნო პროცესებში, რადგან არჩევნები საერთო საქმეა“!

**ნათია იოსელიანი,**
ცესკოს პრესსპიკერი
28.08.2024.

# ზაალ ანჯაფარიძე: უდიდესი მანქანაა ამუშავებული არჩევნების დისკრედიტაციისთვის!

„საარჩევნო კამპანიის ოფიციალური გახსნა, რომელიც ადრე ჩვეულებრივი პროცედურა იყო, წელს



განსხვავებულად დაიწყო. ჯერ (3) რეზიდენტმა ზურაბიშვილმა თავის ხელმოწერას ტოქსიკური სიტყვა დააყოლა დესერტად, შემდეგ უკვე რადიკალური ოპოზიცია შეუდგა წლების მანძილზე დამუშავებული მესიჯ-ბოქსის გაცოცხლებას და ცესკოსკენ ჯერ ვერბალურად ქვების სროლას, თორემ ნამდვილი ქვების სროლაც გვახსოვს. ამჯერად საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების შერჩევაა მიზანში ამოღებული და ბრალდებებიც ტრადიციულია – ნეპოტიზმი, სახელისუფლებო რესურსი და ა.შ. არადა ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია პირდაპირ ეთერში იხილოს წევრების კანდიდატებთან გასაუბრება, რაც წარმოუდგენელი იყო წინა ხელისუფლების ცესკოს პირობებში. შესაბამისად, თქვენ შეგიძლიათ უყუროთ, მოისმინოთ და დაუჯეროთ საკუთარ თვალებს და ყურებს ...

უდიდესი მანქანაა ამუშავებული არჩევნების დისკრედიტაციისათვის, რაც ყველა ქვეყანაში აპრობირებული მექანიზმია „რევოლუციური სცენარის“ მოსამზადებლად!..“




# კარგ მთქმელს — კარგი მსმენელი!

## მიმდინარეობს კონსულტაციები საპატრიარქოსთან, თუ როგორ შეიძლება ქართული ეკლესიის როლი კიდევ უფრო წარმოჩინდეს საქართველოს კონსტიტუციაში

მოგეხსენებათ, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებით სახელმწიფო ინსტიტუტები და მართლმადიდებლური ეკლესია არის სრულიად უსამართლო და მიზანმიმართული კამპანიის სამიზნე და ხდება ეკლესიაზე და ასევე სახელმწიფო ინსტიტუტებზე თავდასხმა. ჩვენ ვნახეთ, რომ არაერთხელ ასეთი ფაქტი განხორციელდა ეკლესიის წინააღმდეგ. ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ დაგვეწყო კონსულტაციები საპატრიარქოსთან იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება ქართული ეკლესიის როლი კიდევ უფრო წარმოჩინდეს საქართველოს კონსტიტუციაში, გამყარდეს ეს ყველაფერი, მაგრამ არამც და არამც ეს არ ეხება რაიმე ფორმით ეკლესიის დამოუკიდებლობის შეზღუდვას, — ამის შესახებ პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის კომიტეტის თავმჯდომარემ გივი მიქანაძემ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა.

„გახსოვთ თქვენ, როდესაც პოლიტსაბჭომ გაასაჯაროვა ტექსტი და იქ ჩამოთვლილი იყო პუნქტები თუ რატომ ვთხოვთ ჩვენს ამომრჩეველს კონსტიტუციურ უმრავლესობას, იქ იყო მეოთხე პუნქტი, რომელზეც ვთქვით, რომ ჯერჯერობით მიმდინარეობს კონსულტაციები და იქიდან გამომდინარე რა შეთანხმება იქნება, ამის შემდეგ უკვე საზოგადოებას ეცნობება. ეს კონსულტაციები გრძელდება, თუმცა საუბარი შეეხება მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციაში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციების განმტკიცებას, მისი როლის სათანადოდ და სრულფასოვნად აღიარებას საქართველოს ისტორიის, ქართველი ხალხის, ჩვენი ყოფადობის წინაშე და აქედან გამომდინარე კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ არამც და არამც ეს კონსულტაციები არანაირი ფორმით არ გამოიწვევს, თუკი გადაწყვეტილება შეჯერდება და იქნება მიღებული, რაიმე ფორმითაც კი არ გამოიწვევს ეკლესიის დამოუკიდებლობის შეზღუდვას“, — განაცხადა მიქანაძემ.

## როგორ ხდებოდა საანგარიშო პერიოდში უცხო ძალის მიერ წინასაარჩევნო პროცესებში ჩარევა



საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გივი მიქანაძემ ზაფხულის განმავლობაში უცხოური ძალის მიერ წინასაარჩევნო პროცესებში ჩარევასა და წინასაარჩევნო პერიოდში არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან პოლიტიკური ნეიტრალიტეტის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, „ქართული ოცნების" ცენტრალურ ოფისში ბრიფინგი გამართა.

როგორც მიქანაძემ აღნიშნა, ბრიფინგის ძირითადი მიზანია, საზოგადოებამ იცოდეს, თუ როგორ ხდებოდა საანგარიშო პერიოდში უცხო ძალის მიერ წინასაარჩევნო პროცესებში ჩარევა. კერძოდ, მან დაასახელა NDI-ის მიერ ოპოზიციური პარტიების და მათი წევრების რეგიონებში შეხვედრების დაფინანსება და ორგანიზება.

**„საანგარიშო პერიოდში უცხო ძალის მიერ წინასაარჩევნო პროცესებში უხეში ჩარევის რამდენიმე ფაქტი გამოვლინდა. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის, NDI-ის მიერ დაფინანსდა და დაორგანიზდა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და მათი წარმომადგენლების შეხვედრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. პირველი ასეთი შეხვედრა 17 ივნისს ქუთაისში ადგილობრივ მოსახლეობასთან გაიმართა, სადაც სალომე სამადაშვილს, ხატია დეკანოიძეს, ანა წითლიძეს, თეონა აქუბარდიასა და თამარ კორძაიას მიეცათ წინასაარჩევნო აგიტაციის განხორციელების შესაძლებლობა. მსგავსი შეხვედრები მომდევნო დღეებში შედგა ზუგდიდში, ბათუმში, ოზურგეთსა და გორში. შეხვედრის ორგანიზებაში NDI-ისთან ერთად ჩართული იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი“.**

**13 ივლისს წნორში გაიმართა „ნაციონალური მოძრაობის“, „ლელოს“, „გირჩის“, „გირჩი — მეტი თავისუფლებისა“ და „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერების შეხვედრა მოსახლეობასთან, რომლის თაობაზეც თავად „ლელოს“ ოფიციალური Facebook გვერდიც იუწყება. პარტია „ლელო“ მადლობას უხდის NDI-ის კახეთის რეგიონის მაცხოვრებლებთან შეხვედრის შესაძლებლობისათვის. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა მოსახლეობასთან შეხვედრისას საარჩევნო დაპირებებზე ისაუბრეს.“ — განაცხადა გივი მიქანაძემ.**

## მთავარეპისკოპოსი ზენონი: საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება შეცდომაა!



**„საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება არსებითად გულისხმობს ეკლესიის ინსტიტუციურ დაქვემდებარებას სახელმწიფო ხელისუფლებისადმი.**

ის, რომ საქართველოში ეკლესია არ წარმოადგენს სახელმწიფო-სახელისუფლებო დაქვემდებარების ადმინისტრაციულ ორგანოს თუ სტრუქტურას, ინსტიტუციას, ეს განპირობებულია პირველ რიგში ეკლესიის ბუნებიდან. ამასთანავე, ეკლესიის დამოუკიდებლობა სახელმწიფოსგან ესაჭიროება თავად სახელმწიფოს, ქვეყნის პოლიტიკური და სხვა გარემოებით შექმნილი კრიზისის დროს იქ, სადაც სახელმწიფოსთვის ან ხელისუფლებისთვის შესაძლოა კარი დაიხუროს. ამიტომ, სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების განაცხადი არის შეცდომა.

თუ გამიზნული განაცხადია, სხვა არაფერს მიეახლება გონება, თუ არა ეკლესიის ინსტიტუციური განადგურებისა და სახელმწიფოს დემოკრატიული მმართველობიდან გადახვევის ვერაგულ და ამავდროულად მდარე ჩანაფიქრს, რაც მხოლოდ საქართველოსა და მისი ეკლესიისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის სპეცსამსახურების პროექტს შეიძლება წარმოადგენდეს. ან კიდევ სამომავლო დიქტატურისა თუ ავტორიტარიზმის მომასწავებელ უბედურებას“ — წერს მეუფე ზენონი.

**შეგახსენებთ, საპატრიარქოში ადასტურებენ, რომ ხელისუფლება მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას სთავაზობს.**

## ევროკავშირს ნაცხროვა ძველებურად „ნაყვარება“!



**გამოცემა Politico-ს ცნობით, ევროკავშირი საქართველოს აფრთხილებს, რომ ხელისუფლების გეგმა, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში კანონგარეშედ გამოაცხადოს ოპოზიციური პარტიები, გაანადგურებს ქვეყნის დემოკრატიას და დასავლეთს აიძულებს, მკაცრი საპასუხო ნაბიჯი გადადგას.**

„ქართული ოცნების“ გეგმის შესახებ Politico-სთან ევროკომისიის საგარეო ქმედებათა სამსახურის პრესსპიკერმა პიტერ სტანომ ისაუბრა. როგორც გამოცემა იტყობინება, სტანომ აღნიშნა, რომ ბრიუსელი შეშფოთებულია გასულ კვირას, მმართველი პარტიის მიერ წარმოდგენილი ინიციატივით, რომელიც “ყველა ოპოზიციური პარტიის აკრძალავას“ ეხება.

**„ოპოზიციური პარტიები, აქტიური სამოქალაქო საზოგადოება და დამოუკიდებელი მედია აუცილებელია მთავრობების ანგარიშვალდებულებისა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვის უზრუნველსაყოფად. პლურალიზმი არის „ევროკავშირში გაწევრების პროცესის ცენტრალური საყრდენი“,** — ამბობს პიტერ სტანო.

მისივე სიტყვებით, საქართველოს ხელისუფლების ამჟამინდელი ქმედებები საფრთხეს უქმნის საქართველოს ევროკავშირის გზას, რაც ევროკავშირში გაწევრების პროცესის შეჩერებას იწვევს:

**„ევროკომისია ყურადღებით აკვირდება საქართველოში განვითარებულ პროცესებსა და მთავრობის რიტორიკას და მზად არის, შესაბამისი რეაგირება მოახდინოს. ყველა ვარიანტი მაგიდაზეა, ჩვენ შესაბამისად ვიმოქმედებთ, თუკი ეს განცხადებები ამოქმედდება“.**

20 აგვისტოს „ქართულმა ოცნებამ“ დაასახელა ოთხი მიზეზი, რომელთა გამოც სურს საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღება 2024 წლის ოქტომბრის არჩევნებში. ოთხიდან პირველი მიზეზი „ნაციონალური მოძრაობის“ არაკონსტიტუციურად გამოცხადება იყო.

## ბრიტანეთის ელჩი მადლობას უხდის ირაკლი კობახიძეს



**გაერთიანებული სამეფოს ახლად დანიშნული ელჩი საქართველოში გარეთ უორდი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძეს მადლობას უხდის.**

დიპლომატი ირაკლი კობახიძესთან დღევანდელ შეხვედრას სოციალურ ქსელში ეხმაურება.

**„მადლობა პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძეს მრავალმხრივი დისკუსიისთვის გაერთიანებული სამეფოსა და საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების, ნატოსა და საქართველოს ევროატლანტიკური ტრაექტორიის მნიშვნელობის შესახებ“,** — აღნიშნავს გარეთ უორდი.

## „გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის ეფექტურობა დღითი დღე იზრდება

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, დავით მათიკაშვილმა განაცხადა, რომ **„ამ კანონმა უზრუნველყო არამხოლოდ ქვეყნის ფარგლებს გარედან შემოდინებული თანხების ხარჯვის გამჭვირვალობა, არამედ — იმ პოლიტიკური ძალებისა და ადამიანების გამჭვირვალობა, რომლებიც თავიანთი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებით გამოირჩევიან“.**



**„იქნებიან ესენი „ნაცმოძრაობა“, მასთან აფილირებული NGO-ები, ბურჯანაძეები თუ ბესელიები, ისინი ერთად, სახელმწიფოს წინააღმდეგ დგამენ კონკრეტულ ნაბიჯებს და საზოგადოებისთვის ეს უკვე კიდევ ერთი აშკარა დასტურია, თუ ვინ არის ქვეყნის სუვერენიტეტის წინააღმდეგი“...**

# რუსეთ-უკრაინის ომი პენტაგონის თამაშად იქცა!!!

## კურსკის ოპერაციის სამხედრო და პოლიტიკური ფასი

**ოპერაცია კურსკი – უკრაინელთა სამხედრო იერიში რუსეთის სუვერენულ ტერიტორიაზე, თვეების განმავლობაში მიმდინარე დრონებით თავდასხმების, მოულოდნელი აფეთქებების, თუ ხარკივის ირგვლივ გრძელი რადიუსის იარაღით საპასუხო ცეცხლის გახსნის შემდეგ, ბევრისთვის სრული მოულოდნელობა იყო. განსაკუთრებით კი, როგორც ჩანს, კრემლის მეთაურისა და სამხედრო სარდლობისთვის. ამერიკელი ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ როგორიც არ უნდა იყოს ამ შეჭრის მიზნები ან უკრაინის გათვლა, ორი რამ ცხადად გამოჩნდა. ერთი: რუსეთს მოუწევს 1000 კმ-იანი საზღვრის დაცვაზე ზრუნვა და ეს მას ომს „გაუძვირებს“, მეორე კი ის, რომ ვლადიმირ პუტინისთვის დამამცირებელი რეალობა შეიქმნა, რომელმაც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ – შიდა პოლიტიკური სტაბილურობა დააყენა ეჭვქვეშ.**

27 აგვისტოს მოსკოვი ირწმუნებოდა, რომ უკრაინის შეიარაღებულ ძალებზე კურსკის ფრონტზე ათზე მეტ ადგილას მიიტანა იერიში. ვოლოდიმირ ზელენსკი კი კვირას ამბობდა, რომ მისმა ჯარმა კიდევ 3 კმ-ით წაიწია წინ და დამატებით, 2 დასახლებაზე მოიპოვა კონტროლი, სულ კი 15-მდე დასახლებას აკონტროლებს. უკრაინის შეიარაღებული ძალების მეთაურმა, გენერალმა სირსკიმ სამშაბათს თქვა, რომ კურსკში წინსვლა გრძელდება და უკრაინა ახლა რუსეთის ტერიტორიაზე 100-მდე დასახლებას აკონტროლებს.

მეორე მსოფლიო ომის დროს, საბჭოთა ძალების მიერ მოგებული სახელოვანი „კურსკის ბრძოლიდან“ 81 წლის შემდეგ, 6 აგვისტოს, უკრაინელმა სამხედროებმა რუსეთის საზღვარი გადაკვეთეს და კურსკის რეგიონის სიღრმეში შეიჭრნენ. 130 ათასზე მეტი მოქალაქე რეგიონიდან ევაკუირებულია. კიევი ამბობს, რომ ტერიტორიების ოკუპაციის მიზანი არ ამოძრავებს და მხოლოდ მოსაზღვრე რეგიონიდან განხორციელებული თავდასხმებისგან საკუთარი მოსახლეობის დაცვა სურს.

ვლადიმირ პუტინი კი ამბობს, რომ მოწინააღმდეგეს მოლაპარაკებებისთვის პოზიციების გაძლიერება უნდოდა, თუმცა მოლაპარაკება ახლა, ამ ვითარებაში არ განიხილება. მოსკოვი კიევს „სათანადო პასუხით“ ემუქრება, თუმცა დეტალებს არ აზუსტებს. ორშაბათს, 27 აგვისტოს გამთენიისას, უკრაინის ათობით დასახლება გაძლიერებული საჰაერო იერიშის სამიზნე გახდა. ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაზიანების გამო, არაერთ რეგიონში მოსახლეობას დენისა და წყლის მიწოდება შეეზღუდა.

„ეს ახლა უკრაინელებს საშუალებას აძლევს, რუსეთზე წნეხი განახორციელონ. ეს კრემლისთვის შემარცხვენელია“, – ამბობს ჩარლზ კუპჩანი, „საგარეო ურთიერთობათა საბჭოს“ უფროსი მკვლევარი. სხვადასხვა ინფორმაციის მიხედვით, ორივე მხარე კურსკის რეგიონში საბრძოლო სიმაგრეებს აშენებს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რუსეთის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ძალების ყველაზე დიდი შეჭრა, არც მცირე ოპერაცია აღმოჩნდა, არც უბრალოდ სამხედრო რეიდი, როგორც ამას თავიდან ვარაუდობდნენ.

პენტაგონი ამბობს, რომ მხარს უჭერს უკრაინის უფლებას და მისთვის იმის შესაძლებლობის მიცემას, რომ თავისუფლება და სუვერენიტეტი შეინარჩუნოს. გენერალ-მაიორ პეტ რაიდერის თქმით, ოპერაციის გრძელვადიან მიზნებთან დაკავშირებით, უკრაინელ პარტნიორებს „ჯერ კიდევ ესაუბრებიან“:

„თქვენ მოისმინეთ პრეზიდენტ ზელენსკისგან, რომ მიზანი „ბუფერული ზონის“ შექმნაა. ჩვენ ვესაუბრებით უკრაინელებს, რომ მეტი გავიგოთ მათ ამოცანებზე. მაგრამ, ზოგადადაც რომ გაგიმეოროთ, ჩვენ ფოკუსირებულნი ვრჩებით იმაზე, რომ უკრაინას მივცეთ შესაძლებლობა, იყოს თავისუფალი და სუვერენული ქვეყანა, რომელსაც მომავალში რუსეთის აგრესიის შეჩერება შეეძლება. რაც შეეხება კურსკში მათ ოპერაციას, მათ შეძლეს ის, რომ რუსებს უჭირთ პასუხის გაცემა. ამან ნამდვილად აჩვენა უკრაინელთა შემოქმედებითობა და ბრძოლის ველზე მათი ძლიერება. მათ გრძელვადიან გეგმებთან დაკავშირებით კი ჩვენ კვლავ ვსაუბრობთ“, – ამბობს პენტაგონის პრესსპიკერი.



### ოპერაცია „კურსკის“ შესაძლო მიზნები

**ანალიტიკოსთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ კიევის უმთავრესი მიზანი რუსებისთვის „ომის შინ მიტანის“ გარდა, უკრაინაში საოკუპაციო ძალებისთვის გამოწვევის შექმნაა, რამაც მოსკოვს ძალების გადანაწილება, ან ფრონტიდან შინ, საკუთარი ტერიტორიების დასაცავად გადასროლა აიძულოს. თუმცა როგორც ჩანს, დიდწილად ის ჯერ ისევ რუსეთში მყოფ ძალებს იყენებს.**

„რუსები იყენებენ უკრაინაში მყოფი ჯარის ნაწილებს, მაგრამ ყველა მათგანი ნამდვილად არაა, მაგალითად, ხარკივის შემოგარენიდან კურსკში გადასროლილი ძალები. რამდენადაც ახლა ვხედავთ, პოკროვსკის ამ „ჩასივი იარის“ მიმართულებიდან, აღმოსავლეთის ფრონტის ხაზის ამ კრიტიკული ნაწილებიდან, ძალები ჯერ არ გაუყვანიათ“, – ამბობს ჯორჯ ბაროსი „ომის კვლევის ინსტიტუტიდან“. ორგანიზაცია უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის განმავლობაში ღია მონაცემებზე დაყრდნობით, საბრძოლო მოქმედებების შესახებ პრაქტიკულად ყოველდღიურ სიახლეებს აქვეყნებს.


უკრაინის შეიარაღებული ძალების მეთაური, გენერალი ოლექსანდრ სირსკი

ბაროსი ამბობს, რომ რუსული სარდლობისთვის მნიშვნელოვნად კვლავ ის უკრაინული ტერიტორიები რჩება, სადაც ბოლო პერიოდში განსაკუთრებული სიმტკიცით უტევენ:

**„ისე ჩანს, რომ რუსი მეთაურებისთვის პრიორიტეტი ამ ძალების იქ, საიერიშო ოპერაციებისთვის ადგილზე შენარჩუნება უფროა. თუმცა, ისინი ასევე მზად არიან, გასწიონ რისკი და წამოიყვანონ შენაერთები სხვა, ნაკლებად პრიორიტეტული სექტორებიდან“.**

**მკვლევართა ნაწილის აზრით, რუსული ძალებისთვის სამხედრო გამოწვევის შექმნის მიზანი გამართლებულია, მაგრამ იმისთვის, რომ ის წარმატებული იყოს, კიევს შესაძლოა საკმარისი ადამიანური რესურსი არ აღმოაჩნდეს.**

**პრობლემა ისაა, რომ უნდა შეგეძლოს, გყავდეს თავისუფალი ძალები იმისთვის, რომ შეინარჩუნო თავდაცვაც და სცადო ამ ტერიტორიების დაბრუნება, თუკი რუსეთისგან წნეხი შემცირდება“.**

**„უკრაინისთვის მიზანი, ვფიქრობ, რუსეთის იძულებაა, გადაისროლოს შენაერთები უკრაინიდან, განსაკუთრებით კი დონეცკის ოლქიდან, პოკროვსკის, ტორეცკის, თუ „ჩასივი იარის“ ტერიტორიებიდან, ისევე როგორც ხარკივის შემოგარენიდან, სადაც რუსებმა წელს, მაისში, გარკვეული ტერიტორიები მოიპოვეს. ვფიქრობ, უკრაინამ ამ მიმართულებით გარკვეულ წარმატებას მიაღწია და რუსებმა ხარკივის თუ „ჩასივი იარის“ ზონებიდან გარკვეული ძალები გაიყვანეს“,** – ამბობს ჯონ ჰარდი „დემოკრატიების დაცვის ფონდის“ რუსეთის პროგრამის დირექტორის მოადგილე და ხსნის, რომ კიევს ამ დროს შესაძლოა არ ჰყავდეს საკმარისი ძალები იმისთვის, რომ კურსკის ოპერაცია ქვეყნის აღმოსავლეთში საოკუპაციო ძალების განსადევნად გამოიყენოს და ტერიტორიები დაიბრუნოს.

* * *

**კიევი** დიდი ხანია, ითხოვს უფლებას, გამოიყენოს დასავლური იარაღი რუსეთის ტერიტორიაზე იერიშის მისატანად, რათა ამით მის წინააღმდეგ თავდასხმები აღკვეთოს. რამდენიმე თვის წინ დასავლელმა პარტნიორებმა ამის უფლება უკრაინას მხოლოდ ხარკივის შემოგარენში მისცეს. ანალიტიკოსების ნაწილი ამბობს, რომ დასავლელი პარტნიორების დაგვიანებული გადაწყვეტილებები კიევისთვის ამა თუ იმ იარაღის მიწოდების თუ მათ გამოყენებაზე შეზღუდვების მოხსნის თაობაზე, შეიძლება კურსკის ოპერაციის შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი დაბრკოლება აღმოჩნდეს.

**„სამწუხაროდ, ვფიქრობ, ჩვენ ვერ გამოვიყენეთ შესაძლებლობა, გავაცდინეთ მომენტი, როცა უკრაინისთვის ამგვარი, გრძელი რადიუსის დასავლური იარაღის გამოყენების უფლებას, ამ იარაღით რუსულ ტერიტორიაზე იერიშის მიტანას ყველაზე ნაყოფიერი შედეგი ექნებოდა“,** – ამბობს ჰარდი.

**„ესაა პუტინის გადაწყვეტილება, შიდა სამოქალაქო სტაბილურობის თაობაზე საკუთარი პოლიტიკური შფოთვა გონივრულ სამხედრო გადაწყვეტილებაზე წინ კიდევ ერთხელ დააყენოს“,** – ამბობს ჯორჯ ბაროსი.

„ეს იმიტომ, რომ რუსეთმა თავისი ყველაზე დიდი საომარი თვითმფრინავების უკრაინის საზღვართან ახლოს მდებარე ავიაბაზებიდან გაყვანა დაიწყო. როგორც ამ ომში აქამდეც ბევრჯერ მომხდარა, დასავლეთის მიერ ამა თუ იმ შესაძლებლობის მიწოდება კვლავ ყოვნდება. საბოლოოდ, მგონია, რომ უკრაინელებს ამის გაკეთების უფლებას მივცემთ. კარგი იქნება, როცა ეს მოხდება, მაგრამ ეს უკრაინელებს ართმევს შესაძლებლობას, ეს იარაღი მაქსიმალურად, საუკეთესო შედეგისთვის გამოიყენონ“.



„უკრაინელთა ერთ-ერთი მთავარი ამოცანა შეიძლება იყოს ის, რომ გააქარწყლონ კრემლის მხრიდან სტრატეგიული დაგეგმვისას იმის აღქმა, თუ რა სჭირდება მას ომის მოსაგებად. ამ დრომდე, ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში კრემლი გულისხმობდა, რომ მას არ სჭირდებოდა, რეალურად დაეცვა თავისი საერთაშორისო საზღვარი, კურსკი იქნებოდა ეს, ბელგოროდის თუ ბრიანსკის ოლქები. თუკი უკრაინის იერიში აქ წარმატებული იქნება, მაშინ ერთ-ერთი ეფექტი შესაძლოა სწორედ ის იყოს, რომ კრემლმა ათობით ათასი რუსი ჯარისკაცი სასაზღვრო რეგიონების დასაცავად მიავლინოს“, – ამბობს ჯორჯ ბაროსი და განმარტავს, რომ თუკი ეს მოხდება, ამას რუსეთისთვის ომის საფასურის მნიშვნელოვნად გაზრდა შეუძლია. საბოლოოდ კი, უკრაინამ სულაც რომ დაკარგოს ზოგიერთი ეს ტერიტორია, რასაც ახლა აკონტროლებს, თავად ეს შედეგიც ღირებული იქნება.

### საფრთხე „პუტინის რუსეთისთვის“

**„საომარი მანქანისთვის“** ზიანის მიყენებასთან ერთად, ამერიკელი ექსპერტები,




რომლებიც რუსულ პოლიტიკას წლებია აკვირდებიან, ამბობენ, რომ ჯერ კიდევ უცნობია, რამდენად დიდი შეიძლება აღმოჩნდეს რეპუტაციული ზიანი სწორედ „პუტინის რუსეთისთვის“. პრეზიდენტმა კურსკში უკრაინის შეჭრასთან გამკლავება უსაფრთხოების სამსახურს ჩააბარა. პუტინი ამბობს, რომ ეს დასავლეთის ორკესტრირებული იერიშია, თუმცა მეორე მხრივ, მას ტერორისტულ ოპერაციად მიიჩნევს და გენერალური შტაბის ნაცვლად, სწორედ „ეფ-ეს-ბეს“ აბარებს სხვადასხვა ძალის კოორდინირებას. ექსპერტების აზრით, ეს მის პოლიტიკურ შეშფოთებაზე მიუთითებს.

> **„ის, რასაც ახლა რუსეთის (სამხედრო) მეთაურობა აკეთებს, იმაზე საინტერესოა, ვიდრე ის, რის გაკეთებასაც, ოპერაციულ დონეზე, უკრაინელები ცდილობენ. გამაოგნებელი იყო, რომ პუტინს რამდენიმე დღე დასჭირდა რეალურად პასუხის ფორმულირებისთვის. ძალიან გამიკვირდა, რომ ომი არ გამოაცხადეს, რომ არ აამოქმედეს საომარი ვითარება. არ ველოდი იმას, რაც გააკეთეს – „უსაფრთხოების ფედერალური ბიუროს“ მეთაურობით კონტრტერორისტული ოპერაცია დაიწყეს. ეს ძალიან საინტერესოა“,** – ამბობს ბაროსი.

„ომის კვლევის ინსტიტუტის“ მკვლევრის აზრით, ვლადიმირ პუტინის მიერ კურსკში მიმდინარე მოვლენების მნიშვნელობის დაკნინება და მისი არა გაერთიანებული შტაბის, არამედ, უსაფრთხოების სამსახურისთვის გადაბარება მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ მას მხოლოდ შიდა პოლიტიკურ სტაბილურობაზე ამ შეჭრის ეფექტის ეშინია.

## რუსი ხალხის რეაქცია

**ზოგიერთი ექსპერტის აზრით, უკრაინის გათვლა შესაძლოა ისიც ყოფილიყო, რომ კრემლი საყოველთაო მობილიზაციას გამოაცხადებდა, ამით კი მოსახლეობაში უკმაყოფილებას გაამწვავებდა.**

„ვფიქრობ, ესაა (ვლადიმირ) პუტინის გადაწყვეტილება, შიდა სამოქალაქო სტაბილურობის თაობაზე საკუთარი პოლიტიკური შფოთვა გონივრულ სამხედრო გადაწყვეტილებაზე წინ კიდევ ერთხელ დააყენოს. ეს მისთვის კიდევ ერთი პასუხისმგებლობა, (პოლიტიკური) ტვირთია. ის ყოველთვის შეცდომებს უშვებს იმის თაობაზე, თუ როგორ აწარმოოს ეს ომი უკრაინის წინააღმდეგ და პრიორიტეტს გამუდმებით შიდა პოლიტიკურ გათვლას ანიჭებს იმის ნაცვლად, თუ რა ჯობს სამხედრო თვალსაზრისით“, – ამბობს ომის მკვლევარი.

**კრემლის პოლიტიკური თუ სამხედრო შეცდომების გამოვლენასთან ერთად, ზოგიერთ ანალიტიკოსს არანაკლებ მნიშვნელოვნად ის მიაჩნია, რაც რუსული საზოგადოების დონეზე გამოჩნდა. პოლ გობლი, რომელიც ათწლეულებია რუსეთსა და ევრაზიაში ეთნიკურ საკითხებს იკვლევს, ამბობს, რომ რუსი ხალხის რეაქცია იმას აჩვენებს, თუ სად არის და საით მიემართება ქვეყანა.**

**„ამერიკის ხმა“**

# არჩილ ბერიძე: მოვითხოვ ჟურნალისტისგან ოფიციალურ ბოდიშს!



**„თუ ვინმეს რეალობა აინტერესებს, ნებისმიერს მივაწვდი ამ კონცერტთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, ჟურნალ „ბათუმელებს“ კი, სიცრუის გამო, მოუწევს პასუხის გაცემა კითხვაზე – რა შუაშია ოცნების კანდიდატი?“ – წერს მომღერალი და „ქართული ოცნების“ ბათუმის დელეგატობის კანდიდატი არჩილ ბერიძე სოციალურ ქსელში, რომელიც ჟურნალ „ბათუმელების“ სტატიას ეხმიანება, სადაც წერია, რომ „ოცნების“ კანდიდატს ბიუჯეტიდან 60 ათასი ლარი გადაუხადეს“.**

როგორც მომღერალი აცხადებს, სოლო კონცერტის იდეა სამი წლის წინანდელია, განხორციელებას თვეები, ბევრი შრომა და სოლიდური თანხაც დაჭირდა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილიც მერიამ დააფინანსა.

არჩილ ბერიძე ჟურნალისტისგან ოფიციალურ ბოდიშს ითხოვს.

**„სიმღერის პარალელურად პოლიტიკაში ჩართვა რომ გადავწყვიტე, რა თქმა უნდა, შეგუებული ვიყავი, რომ ბევრი ტყუილი და სიბინძურე წამოვიდოდა ჩემ მიმართ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ტყუილების უპასუხოდ დატოვებას ვაპირებ!**

**არ შეიძლება ამის კადრება. თუ ვინმეს რეალობა აინტერესებს, ნებისმიერს მივაწვდი ამ კონცერტთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, ჟურნალ „ბათუმელებს“ კი სიცრუის გამო მოუწევს პასუხის გაცემა კითხვაზე – რა შუაშია „ოცნების“ კანდიდატი? წინასწარ უნდა გაგვეთვალა მეც და სახელმწიფოსაც, რომ მომავალში შეიძლება მმართველი პარტიის დელეგატი ვყოფილიყავი, დაფინანსებაზე უარი მეთქვა და კონცერტი არ ჩამეტარებინა?**

**იგივე წარმატებით შეუძლიათ დაწერონ: მმართველი გუნდის კანდიდატს სხვადასხვა დროს ბიზნესმენმა, იუბილარმა, სახელმწიფომ, ექიმმა, მეწარმემ, ლიდერმა და ასე შემდეგ, სიმღერაში ჰონორარი გადაუხადა...**

**ყველას ვთხოვ, მათი პოლიტიკური შეხედულებებისა და გეგმების გამო ტყუილებს ნუ დამაბრალებენ.**

**მოვითხოვ ჟურნალისტისგან ოფიციალურ ბოდიშს!“...**







**მპირფასო ბათუმელებო! შეგახსენებთ, რომ „შური არის მწუხარება სხვისა სიკეთესა ზედა“... თქვენ ეს არ გეკადრებათ!**
**ახიკო ბერიძე მთელი საქართველოს სიამაყეა, ამიტომ ის ვერავინ, მით უფრო „ბათუმელებმა“ ვერ და არ უნდა დაჩაგროს!**

## ბათუმის მუნიციპალური ავტოპარკი 100 ერთეული „EURO 5“-ის სტანდარტის ავტობუსით განახლდა

**ბათუმის მერიის ინფორმაციით, 62 ახალი მიკროავტობუსი ეტაპობრივად ჩაანაცვლებს ხელვაჩაურის მიმართულებებს და ქალაქთან დაკავშირებულ 64 სოფელს მოემსახურება. 38 ერთეული მიკროავტობუსით კი, დამატებით შეიქმნება ქალაქის 5 ახალი, საცდელი მარშრუტი, რომელიც ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, შემოერთებულ ტერიტორიებზე იმოძრავებს.**

მათივე ცნობით, მიკროავტობუსების შეძენისათვის 12 528 100 ლარი დაიხარჯა. ახალ მიკროავტობუსებზე 250 მძღოლი დასაქმდება.

„მუნიციპალური ავტოპარკის განახლება სატრანსპორტო პოლიტიკის განვითარების ნაწილია, რაც გულისხმობს მოქალაქის უსაფრთხოდ და კომფორტულად მგზავრობას.

2018 წლიდან დღემდე ბათუმის ავტოპარკი 149 ერთეული თანამედროვე სტანდარტის ავტობუსით განახლდა, მათ შორის 8 ელექტროავტობუსია. წელსვე იგეგმება 25 ერთეული M3 კატეგორიის 12-მეტრიანი „EURO 5“-ის სტანდარტის ავტობუსის შემოყვანა.

აღნიშნული ავტობუსების მეშვეობით დამატებით შეიქმნება ახალი მარშრუტი ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში. დარჩენილი რაოდენობა დაემატება მგზავრთა მაღალი ნაკადის ინტენსივობით დამახასიათებელ მარშრუტებს, ინტერვალების შესამცირებლად. შედეგად დასაქმდება 65 მძღოლი“, – განმარტავენ ბათუმის მერიაში.



## 27 სექტემბერს, პირველად, მსოფლიო ტურიზმის დღეს ვუმასპინძლებთ!

**გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია საქართველოში მსოფლიო ტურიზმის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას აანონსებს..**

„ხელი შევუწყოთ ხვალინდელი დღის მშვიდობას დღევანდელი მოგზაურობით. მოდით 2024 წლის მსოფლიო ტურიზმის დღეს ტურიზმს მშვიდობის სიმბოლური როლი მივცეთ. საქართველოში, 27 სექტემბერს კულტურების გაცნობით, მდგრადი ტურიზმითა და




დიალოგით ჩვენ შეგვიძლია ტურიზმი კონფლიქტების მოგვარებისა და გლობალური ჰარმონიის ძალად ვაქციოთ“, – წერია მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის სოციალურ ქსელებში.

2023 წლის გაზაფხულზე გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ევროპის კომისიის 38-მა წევრმა ქვეყანამ ერთხმად დაუჭირა მხარი საქართველოს დელეგაციის ინიციატივას 2024 წელს, საქართველოში ღონისძიების გამართვასთან დაკავშირებით.

ტურიზმის მსოფლიო დღეს გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (**UN Tourism**) 1979 წლიდან, ყოველი წლის 27 სექტემბერს აღნიშნავს.

# საპირფარეშოები დახვრეტილების საფლავებზე!




**28 აგვისტოს 100 წელი შესრულდა 1924 წლის აჯანყებიდან, როდესაც ხალხი საბჭოთა იმპერიისგან გათავისუფლების მიზნით მთელ საქართველოში ამბოხდა.**

**წინააღმდეგობას იატაკქვეშ ჩამოყალიბებული დაუმორჩილებლობის კომიტეტი ხელმძღვანელობდა, რომელსაც, თავის მხრივ, ემიგრაციაში წასულ ჟორდანიას მთავრობასთან ჰქონდა კავშირი. აჯანყების ჩახშობის მიზნით საბჭოთა ხელისუფლებამ მასობრივი რეპრესიები მოაწყო. დახვრიტეს და გადაასახლეს ათასობით ადამიანი.**

**აჯანყების დეტალებზე „რადიო თავისუფლება“ ესაუბრა ისტორიის დოქტორს ლევან ჯიქიას, რომელიც 1924 წლის ამბოხს იკვლევს.**



## როგორ ამოშალეს მეხსიერებიდან 1924 წელი?!

**„რადიო თავისუფლება“: აჯანყების წარუმატებლობაზე ძალიან იმოქმედა იმ ფაქტმა, რომ აჯანყების დღედ დათქმული იყო 29 აგვისტო, მაგრამ ჭიათურაში ერთი დღით ადრე გამოვიდნენ. რატომ მოხდა ასე?**

**ლევან ჯიქია:** გიორგი წერეთელს, რომელიც ჭიათურაში ხელმძღვანელობდა აჯანყებას, უკვე ემიგრაციაში ყოფნისას, რამდენჯერმე მოუწია თავის მართლება. ემიგრანტები ეუბნებოდნენ, თქვენ დაგვღუპეთ, 24 საათით ადრე დაიწყეთ აჯანყება, ამან გააფრთხილა ხელისუფლება და ზომები მიიღოო.

როგორც აღმოჩნდა, გიორგი წერეთელმა ზუსტად ვერ გაიგო დავალება. ყველა მეთაური გააფრთხილეს, რომ აჯანყება იწყებოდა 28-29 აგვისტოს დილის 2 საათზე. გიორგი წერეთელმა შეცდომით აჯანყება 27-28 აგვისტოს დილის 2 საათზე დაიწყო. სოციალ-დემოკრატი ალექსანდრე სულხანიშვილი ამბობდა, იმიტომ იჩქარა აჯანყების დაწყება, რომ ჭიათურის მაღაროს სალარო და მუშებისთვის დასარიგებელი თანხა ჩაეგდო ხელშიო. აჯანყებულებმა ეს თანხა წაიღეს. თუმცა, სინამდვილეში მიზეზი სხვა იყო.

სხვათა შორის, ერთხელ გიორგი წერეთელმა თქვა, რომ მიიღო გაზეთი, რომელზეც ეწერა, რომ აჯანყების თარიღი შეიცვალა.

**– იატაკქვეშა გაზეთებიც ჰქონდათ?**

– არა. მაგალითად, გაზეთ „კომუნისტს“ გაუგზავნიდნენ ვინმეს საჩუქრად, სადაც ვთქვათ, ხელით ეწერა: „ამა და ამ დროს ვიწყებთ ქეიფს“. ქეიფი აჯანყებას ნიშნავდა.

არ დასტურდება, რომ აჯანყების თარიღი შეცვალეს. თავდაპირველად რომ თქვა გიორგი წერეთელმა, შემეშალაო, ეს უნდა ჩავთვალოთ სიმართლედ.

აჯანყება 24 საათით ადრე რომ დაიწყო, ამან, რა თქმა უნდა, შეაფერხა წარმატება, მაგრამ ხელისუფლებამ ისედაც იცოდა აჯანყების თარიღი. ჩვენ ხელთ გვაქვს საგანგებო კომისიის (ე.წ. ჩეკა) თავმჯდომარის მოადგილის ლავრენტი ბერიას ცირკულარები. რეგიონებში აგზავნიდა ორგანოს წარმომადგენლებთან. იქ წერია, რომ ანტისაბჭოთა ძალებს გადაწყვეტილი აქვთ შეიარაღებული აჯანყების მოწყობა 27, 28 ან 29 აგვისტოს.

**– რომ არა ეს შეცდომა, ამ აჯანყებას პერსპექტივა ჰქონდა?**

– საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ და საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ მთელი ამიერკავკასიის ჯარები მიმართეს აჯანყებულების წინააღმდეგ. გარე ძალების დახმარების იმედი ნაკლებად იყო, ამიტომ აჯანყებას წარმატების მიზერული შანსი ჰქონდა.

აჯანყების დამარცხების შემდეგ ემიგრაციულ მთავრობაში დაისვა საკითხი, რატომ მოხდა აჯანყება მაინცდამაინც აგვისტოში. აჯანყების თარიღს დაუმორჩილებლობის კომიტეტი წყვეტდა და ის ემიგრაციასთან არ იყო შეთანხმებული.

**– 29 აგვისტოს გარდა, სხვა რა თარიღიც განიხილებოდა?**

– ქაქუცა ჩოლოყაშვილი და კიდევ რამდენიმე მებრძოლი მიიჩნევდა, რომ აჯანყება ყველაზე მიზანშეწონილი გვიან შემოდგომას იქნებოდა. კავკასიონზე თოვლი მოვიდოდა და რუსულ შეიარაღებულ ძალებს გზას ჩაუხერგავდა. თუმცა, მუდმივად მიმდინარეობდა რეპრესიები. დაუმორჩილებლობის კომიტეტის ხან ერთ მეთაურს იჭერდნენ, ხან – მეორეს. მაგალითად, ვალიკო ჯუღელი აჯანყების სამხედრო მეთაური უნდა ყოფილიყო. მას ემიგრაციაში დაამთავრებინეს სამხედრო სკოლა. არალეგალურად ჩამოვიდა, მაგრამ აგენტ-ინფორმატორები ყველგან ჰყავდა ხელისუფლებას და დააპატიმრეს. ასევე დააპატიმრეს ნოე ხომერიკი, ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერი.

**– ძალთა თანაფარდობა როგორი იყო? რამ გადაწყვიტა აჯანყების ბედი?**

– არქივში ინახება ძალიან საინტერესო რუკა, 1922 წელს იატაქვეშეთელების შედგენილი. მასზე აღრიცხულია, სად რამდენი ადამიანის გამოყვანა შეუძლიათ როგორც თვითონ, ასევე ხელისუფლებას - საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში და ჩრდილო კავკასიაში. შეიარაღების მხრივ უპირატესობა ხელისუფლებას ჰქონდა. აჯანყებულებს 2-3 პატრონაზე მეტი არ გააჩნდათ. გეგმავდნენ, არსენალი ჩაეგდოთ ხელში.

დაპატიმრებების გამო გეგმა რამდენჯერმე შეიცვალა. იძულებულები გახდნენ, დიდ ქალაქებში აჯანყებაზე უარი ეთქვათ, მაგალითად, თბილისში აჯანყება იმიტომ არ მოხდა, რომ ხელისუფლებამ იქ ტყვიამფრქვევები დააწყო და პატრულირება დაიწყო. ასეთ ფორსმაჟორულ სიტუაციაში იყვნენ.

უნდოდათ აჯანყებაში სომხეთი, აზერბაიჯანი და ჩრდილო კავკასია ჩაერთოთ. სომხებმა თავიდანვე უარი თქვეს. აზერბაიჯანი და ჩრდილო კავკასია დათანხმდა. ფიქრობდნენ, თუ აზერბაიჯანელები აჯანყდნენ, მათ თურქები დაიცავენ და შესაძლოა რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებამდეც კი მივიდეთო. თუმცა, ხელისუფლებამ ყველა მეკავშირე დააპატიმრა. აჯანყება მთელი კავკასიის მასშტაბით ვეღარ მოხერხდა.

აჯანყებულებს იმის იმედიც ჰქონდათ, რომ თუ ერთი თვე მოახერხებდნენ ძალაუფლების შენარჩუნებას, მერე დასავლეთის დიპლომატიური მისიები ჩაერეოდნენ. რეგიონებში ძალაუფლება მართლაც ჩაიგდეს ხელში, მაგრამ მხოლოდ 3-4 დღით.

**– მართლაც, ერთი თვე რომ გაეტანათ, ჩაერეოდნენ კი დასავლეთის ქვეყნები?**

– ძნელია ამის თქმა. ამ პერიოდში საქართველოს საკითხი ევროპის ქვეყნების დღის წესრიგიდან ფაქტობრივად მოხსნილი იყო.

**– აჯანყება ჩაფლავდა. ვიცით, რამდენი ადამიანი დაიღუპა?**

– სხვადასხვა რიცხვი სახელდება. ხელისუფლებამ გაზეთ „კომუნისტში“ დახვრეტილების ძალიან მცირე რაოდენობა გამოაქვეყნა, 100-მდე ადამიანი. შსს-ს არქივში ინახება დახვრეტილების სია, რომელშიც 982 სახელი და გვარია ჩამოთვლილი. ემიგრანტულ ლიტერატურაში 3, 5, 7, 12 და 15 ათასსაც კი ასახელებენ. მაგრამ არათუ ემიგრაციაში, საქართველოში მყოფისთვისაც კი რთული იყო ამ მონაცემების მოძიება. ამ ხალხს ერთ ადგილას არ ხვრეტდნენ. ზოგი თბილისში დახოცეს, ზოგი – სამეგრელოში, ზოგი – გურიაში, ზოგი – ზესტაფონში. ამიტომ ეს რიცხვები გაზვიადებულია.

არქივში ასევე ინახება დოკუმენტები, რომლებშიც საუბარია ამა თუ იმ ადამიანის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დახვრეტაზე. ეს ხალხი იმ 982-კაციან სიაში არ არის. ასე მექანიკურად თუ მივუმატებთ, დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ დახვრეტილია მინიმუმ 1063 ადამიანი.

**ხვრეტდნენ სასამართლოს გარეშე?**

– კი, სასამართლოს წინაშე მხოლოდ 47 კაცი წარდგა. სერგო ორჯონიკიძე 1924 წლის ოქტომბერში მოსკოვში პლენუმის სხდომაზე რომ წარდგა, თქვა, მივმართეთ მასობრივ დახვრეტებს, იქნებ, ცოტა გადავაჭარბეთ, მაგრამ ამას ახლა რაღა ეშველებაო.

ხელისუფლება რეპრესიის სხვა ფორმებსაც მიმართავდა, მაგალითად, რუსეთში გადასახლებას, რაც თითქმის სასიკვდილო განაჩენი იყო. ქართველები იქაურ კლიმატს ვერ უძლებდნენ. ძალიან ბევრი განცხადებაა, სადაც გადასახლებულები სამხრეთ რუსეთში გადაყვანას ითხოვენ, მაგრამ არ გადაჰყავდათ. ავადდებოდნენ ჭლექით. ექიმების ცნობებიც არის ამაზე.

ძალიან ბევრი განცხადება აქვთ დაწერილი ოჯახის წევრებს, საიდანაც ჩანს, რომ გადასახლებულები საკონცენტრაციო ბანაკებში მძიმე დანაშაულებში ბრალდებულ პატიმრებთან იმყოფებოდნენ. ხშირად ჩხუბობდნენ. ოჯახის წევრები მათ გადაყვანას ითხოვდნენ, წერდნენ, შეიძლება თვითმკვლელობამდეც მივიდნენო. სამწუხაროდ, რეაქცია არავის ჰქონდა.

ასევე ართმევდნენ ქონებას. იყო შემთხვევები, როდესაც ადამიანი არც მონაწილეობდა აჯანყებაში, მაგრამ ვიღაცას მისი საკუთრება (სახლი, დუქანი...) უნდოდა და ამის გამო დაასმენდა. განსაკუთრებით ხშირია განცხადებები, როდესაც წერენ, რომ წაართვეს ცხენი და ამ ცხენზე ახლა ხელისუფლების წარმომადგენელი ზის. ერთი ადამიანი წერდა, ყველაფერი წამართვეს, ერთი ძაღლი დამრჩა და ახლა მასაც მართმევენო. თან აჯანყებასთან ამ კაცს კავშირი არ ჰქონია.

**– ქალები და ბავშვებიც დახოცეს?**

– კი, დახვრეტილი ქალებიც არიან. ბავშვებიც დახოცეს, რუისში მთელი ოჯახი ამოწყვიტეს. ეროვნული არქივის ერთ-ერთ დოკუმენტში აღწერილია შემთხვევა, სადაც ადამიანი სიამაყით იხსენებს, თუ როგორ გაუპო თავი ბავშვს აკვანში.

**– ამ აჯანყების შემდეგ განადგურდა საქართველოს ინტელექტუალური ელიტის დიდი ნაწილი, ასე არ არის?**

– ერთი მხრივ, ვინც ემიგრაციაში წავიდა, მათ შორის ქაქუცა ჩოლოყაშვილი და, მეორე მხრივ, ვინც დახვრიტეს. ეს ძალიან დიდი დარტყმა იყო ქვეყნისთვის. საბჭოთა კავშირი ამ აჯანყების შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა.

**– ვიცით ის ადგილები, სადაც აჯანყებულები დახვრიტეს და დამარხეს?**

– ზუსტად არა, მაგალითად, ერთ დოკუმენტში მითითებულია, რომ სოხუმთან 11 ადამიანი დახვრიტეს, მაგრამ არ წერია -კონკრეტულად სად. ძალიან საინტერესო მინაწერია ამ დოკუმენტზე. აღნიშნულია, რომ დახვრეტამდე მიმართეს მათ, რამე თხოვნა ხომ არ გაქვთო. არაფერი უთხოვიათ, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ ეს ხალხი




კოტე აფხაზი

გააზრებულად მიდიოდა ამ ამბოხზე.

იცით, რომ ვაგონებში ჩაცხრილეს ხალხი. ერთი ვერსიით, სოფელ არგვეთასთან, რკინიგზის სიახლოვეს, მეორით, ზესტაფონში, დღევანდელ „სახკაბელის“ შენობასთან. ადრე იქ რკინიგზის ხაზი გადიოდა. გადმოცემით, ამ ადგილას ხალხი ძვლებს პოულობდა. გათხრები არავის უწარმოებია, ამიტომ ზუსტად თქმა ჭირს.

ხელისუფლებას ძალიან მანკიერი პრაქტიკა ჰქონდა. ხშირად დახვრეტილების საერთო საფლავზე საპირფარეშოებს აშენებდნენ. ასე ბოლომდე სჯიდა ხელისუფლება მოწინააღმდეგეებს.

**– კოტე აფხაზის საფლავზეც იგივე გააკეთეს, როგორც მახსოვს?**

– კი, კოტე აფხაზი და კიდევ 14 ქართველი ოფიცერი ვაკის პარკის ტერიტორიაზე დახვრიტეს. ზუსტი ადგილი არ ვიცით, ვვარაუდობთ, რომ იმ ადგილას, სადაც მერე საზოგადოებრივი საპირფარეშო იყო გამართული. იქაც არავის უწარმოებია გათხრები. ახლა ის საპირფარეშო დანგრეულია და იქ სიმბოლურად მემორიალი დგას. თუმცა, დანამდვილებით რამის თქმა ჭირს, მით უფრო, რომ ვაკის პარკი მაშინ უსიერი ტყე იყო.

ყველაზე ხშირად ხალხს ხვრეტდნენ საბურთალოზე და რუსთავის გზაზე. საკნიდან გამოიყვანდნენ პატიმარს, ხელ-ფეხს შეუკრავდნენ, გააშიშვლებდნენ ან საცვლების ამარა დატოვებდნენ. ტანსაცმელს საგანგებო კომისიის წევრები ინაწილებდნენ. იყო შემთხვევა, როცა ერთი ჯალათი ლოთობისთვის დააპატიმრეს და პატიმრებმა შეამჩნიეს, რომ მას დახვრეტილის ტანსაცმელი ეცვა. გულწრფელად აღიარა, ასე ვიქცევითო.

ხელფეხშეკრულ ადამიანებს ძარაზე ყრიდნენ, წინასწარ გამზადებულ ორმოსთან მიჰყავდათ. სანამ ერთს ხვრეტდნენ, დანარჩენები უყურებდნენ.

**– როგორ ამოშალეს ამხელა მსხვერპლი და ამბავი ხალხის მეხსიერებიდან?**

– ხელისუფლებას ამ აჯანყებამ ძალიან დიდი უხერხულობა შეუქმნა. აცხადებდნენ, რომ იყვნენ მუშურ-გლეხური ხელისუფლება, ამ დროს კი აღმოჩნდა, რომ გლეხების საკმაოდ დიდი ნაწილი აჯანყებაში მონაწილეობდა. მიზეზები თავადაც აინტერესებდათ. დაელაპარაკნენ გლეხებს და მათ ყოფითი პრობლემები დაასახელეს.

**– რამდენადაც ვიცი, იმ პერიოდში ძალიან დიდი გაჭირვება იყო?**

– დიახ, რუსეთში იმ დროს იყო შიმშილობა და დაპყრობილი საქართველოდან ყველაფერი გაზიდეს.

ამიტომ ხელისუფლებას ეს დიდ დისკომფორტს უქმნიდა. იძულებულები გახდნენ, ეღიარებინათ, რომ ეკლესია-მონასტრების დახურვა გლეხების მოთხოვნა არ ყოფილა. ამის შემდეგ რაღაც დათმობაზე წავიდნენ. თუ ადგილობრივი მოსახლეობა მოითხოვდა ეკლესია-მონასტრის გახსნას, ტაძრიდან გატანილ ნივთებს უკან უბრუნებდნენ და ხსნიდნენ.

ეროვნულ საკითხებზე გლეხებს მაშინ არ უსაუბრიათ. თუმცა, აჯანყებულების ლოზუნგებს თუ შევხედავთ, ცხადად ჩანს, რომ მათი მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობა იყო. ამიტომაც ეს არის არა მხოლოდ ანტისაბჭოთა, არამედ ეროვნული აჯანყება.

# ციცნა და ქეთია – რა ბედი ეწია ქაქუცას ოჯახს?

**1924 წლის ოქტომბრის ბოლოს, 36 წლის ქაქუცა ჩოლოყაშვილი საქართველოდან ჯერ თურქეთში, შემდეგ კი საფრანგეთში წავიდა და სამშობლოში ცოცხალი ვეღარ დაბრუნდა. საქართველოში დატოვა ახალგაზრდა ცოლი ნინო მეღვინეთუხუცესი და ორი შვილი, თამარი და ქეთევანი.**

**1924 წლის 28 აგვისტოს საქართველოში მასშტაბური აჯანყება მოხდა. ხალხი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, დამოუკიდებლობის აღსადგენად გამოვიდა. აჯანყების ერთ-ერთი ლიდერი და სამხედრო მეთაური ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო, ის ჯერ კიდევ ამ აჯანყებამდე გავიდა ტყეში და საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად იბრძოდა.**

**აჯანყებულებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. დაიწყო მასობრივი რეპრესიები. საბჭოთა მთავრობამ ათასზე მეტი შეთქმული დახვრიტა, სხვები გადაასახლეს და ქონება ჩამოართვეს.**

* * *

**ხუნწარიების ოჯახი, რომელიც ქეთიას შთამომავალია, დღეს თბილისში, ფანასკერტელის ქუჩაზე ცხოვრობს. ბინის კედელზე ქაქუცას, მისი ცოლ-შვილისა და შვილიშვილების ფოტოები კიდია. იქვეა პატარა გულსაბნევი ქაქუცას ფოტოთი. ასეთი გულსაბნევები 1930 წელს, ივნისში, პარიზში, ჩოლოყაშვილის დაკრძალვაზე მისულებს ეკეთათ.**

**შთამომავლებს ქაქუცას ნივთებიდან თითქმის არაფერი დარჩათ. ჯილდოდ მიღებული ხმალი და ოქროს მანჟეტები შვილებმა მუზეუმებს გადასცეს.**

ოჯახში ჰყვებიან, რომ როდესაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი პარტიზანულად იბრძოდა, მისი მეუღლე და ბავშვები თელავის მაზრის პოლიციამ დაიჭირა. ქაქუცას შეუთვალეს, დაგვნებდი, თორემ შენს ცოლ-შვილს კასრში ჩავსვამთ და ავაფეთქებთო. ჩოლოყაშვილი არ დანებებულა.

3 წლის ქეთიას და 7 წლის ციცნას (ასე ეძახდნენ თამარს) პოლიციელები კანფეტებს ჰპირდებოდნენ და ასე ცდილობდნენ მათგან რამე ინფორმაცია მიეღოთ, მაგალითად, მიდიოდა თუ არა მამა მათ სანახავად.

ქაქუცას თანამებრძოლი ალექსანდრე სულხანიშვილი წერს, რომ ერთხელ ის და ტყეში გაქრილი ქაქუცა მართლაც მივიდნენ ერთ ოჯახში. იქ ნინო და ციცნა დახვდათ. წვერმოშვებული ქაქუცა ბავშვმა ვერ იცნო და მხოლოდ მაშინღა მოეხვია, როცა მამამ ჯვარი აჩვენა. ქაქუცა ციცნას ჯვარს ატარებდა, თავისი ადრე დაჰკარ-


რევაზ ხუნწარია

გოდა. როდესაც აჯანყებიდან 2 თვეში საქართველო დატოვა, შვილის ჯვარიც თან გაჰყვა.

**„ქაქუცას თანამებრძოლებმა შესთავაზეს ოჯახის წაყვანა, მაგრამ თავად არ დათანხმდა, რადგან სხვებს ვერ მიჰყავდა ცოლ-შვილი. თან პატარა იმედიც ჰქონდა, რომ დაბრუნდებოდა“,** – იხსენებს რევაზ ხუნწარია.

საქართველოში ქაქუცას შვილები დედასთან ერთად მეტეხის ციხეშიც ჩასვეს. შემდეგ ბავშვები გამოუშვეს და დედა დატოვეს. გოგონები ქაქუცას სიმამრმა წაიყვანა სახლში. თუმცა, ილია მეღვინეთუხუცესი მალე საკუთარ ეზოში მოკლეს და ბავშვები ისევ უპატრონოდ დარჩნენ.

**„შიშით ვერავინ ეკარებოდა ბავშვებს. მერე მოურავმა საქათმეში დამალა და საჭმელი იქ მიჰქონდა ხოლმე“,** – ამბობს **ხათუნა ციცქიშვილი,** ქაქუცა ჩოლოყაშვილის შვილთაშვილის, **გური ხუნწარიას** მეუღლე.

მოგვიანებით ნინო მეღვინეთუხუცესი მეტეხის ციხიდან გამოუშვეს და შვილებს დაუბრუნდა. როდესაც გოგონები წამოიზარდნენ, ციცნამ კერვა დაიწყო. ქეთიამ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩააბარა. ამაში ძალიან დაეხმარა ნიკო კეცხოველი, რომელიც მაშინ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე იყო.

თუმცა ამით მათი დევნა არ დასრულებულა. გური ხუნწარია, რომელიც რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა, იხსენებდა ერთ-ერთ ინტერვიუში („კვირის პალიტრა“, 2015 წელი), რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ნინოსთან ორი კაცი მივიდა. გაეცნენ, რო-



გორც ქაქუცას მეგობრები. ნინოს სახლიდან გამოსულები ისინი დააპატიმრეს. მათთან ერთად დააკავეს ნინო და ციცნაც. ისინი რამდენიმე წლით შუა აზიაში გადაასახლეს.

**„ოჯახში ჩურჩულით ლაპარაკობდნენ ქაქუცაზე. სურათების ნაწილი გადამალული ჰქონდათ. ბოლოსკენ, 80-იან წლებში გადაუხადეს ქაქუცას 100 წლისთავი ციცნას ოჯახში. ქაქუცას ხუთიოდე მეგობარი მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ეროვნული მოძრაობის დროს იპოდრომზე ქაქუცას სურათი რომ გამოიტანეს, ჩემი ცოლი მეგი გახარებული გავარდა სანახავად“,** – ამბობს რევაზ ხუნწარია.

ქაქუცას ცხოვრება ემიგრაციაში და მისი ბოლო დღეები აღწერილი აქვს მის თანამებრძოლს ალექსანდრე სულხანიშვილს, რომელიც ბოლო წუთამდე მეთაურის გვერდით იყო. გარდაცვალების შემდეგ დაკრძალვაც მან ითავა. ანდერძი - დამწვით და ფერფლი საქართველოში ჩაიტანეთო - ქაქუცამ სწორედ სულხანიშვილს დაუტოვა. საქართველოს ეროვნული გმირის უკანასკნელ დღეებს ის აღწერს თავის წიგნში: „ჩემი მოგონებანი“.

**„...მე სადილი ვაჭამე ქაქუცას. ერთი ბეწო შეჭამა, მერე გავედი და გარეთ დავჯექი. ძალიან ცოტა ეძინა, რამაც მხოლოდ დაასუსტა. ამასობაში სულ ორმოცდაათმა წუთმა თუ გაიარა, რომ დამიძახა. მაშინვე მივედი. ის საშინლად აღშფოთებული და გაჯავრებული დამხვდა.**

**მან სავარძლის თავსაყუდზე მიმითითა, სადაც ოქროს ჯაჭვზე ეკიდა ჯვარი ორ თუ სამ ოქროს წმინდანთან ერთად და ჩემის ხელით ტყავში გამოკერილი საქართველოს მიწა, რომლებსაც განუყრელად თან ატარებდა ქაქუცა.**


ნინო მეღვინეთუხუცესი — ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეუღლე

**ჩამოხსენიო, მითხრა მან, როგორც კი შევედი. რა მოხდა? რა ამბავია-მეთქი, – ვკითხე დაბნეულმა, რაზეც ეს პასუხი გამცა: შეხსენი საქართველოს მიწა, დადე აი აქ პატარა მაგიდაზე. ეს ჯვარი და წმინდანები ჩემს შვილს მიუტანე; ხომ იცი, იმისიაო.**

**თურმე ორმოცდაათი წუთი რომ ჩაიძინა, თავისი უფროსი შვილი უნახავს სიზმარში და მას უთქვამს: მამა მომეცი ჩემი ჯვარიო, ამაზე იყო იგი შეშფოთებული: ახლა კი გათავდა ჩემი ცხოვრებაო.**

**მე თუმცაღა შევეცადე, გამექარწყლებინა მისი ავისმომასწავებელი სიზმარი, მაგრამ ამაოდ: შენ ახალგაზრდა ხარ; შენ ჩაუტანე ჩემი სულ ყველაფერი ჩემ შვილებსაო, დამიბარა მან. აი, სწორედ მაშინ დაიბარა ანდერძად, რომ დაგვეწვა მისი ნეშტი, ხოლო სულ სხვა იყო ჩემი მოსაზრება ამის თაობაზე, რის გამო ანდერძის შეუსრულებლობა ცოდვად არ ჩაითვლება“.**

ქაქუცა ჩოლოყაშვილი გარდაიცვალა 1930 წლის ივნისში. თბილისში მისი სიკვდილის ამბავი გვიან გაიგეს. ალექსანდრე სულხანიშვილის დაჟინებით, ქაქუცა პარიზში ქრისტიანული წესით მიაბარეს მიწას. მოგვიანებით გადაასვენეს ლევილის მამულში.

2005 წელს ქაქუცა ჩოლოყაშვილი საქართველოში ჩამოასვენეს. ამ დროისთვის ნინო, ქეთია და ციცნა უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ. ქაქუცა მთაწმინდის გზაზე შვილიშვილებმა და ქართველმა ხალხმა გააცილეს.


ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ალექსანდრე სულხანიშვილი

6-7 გვერდები მოამზადა **თეა თოფურიამ**, „რადიო თავისუფლება“

# სასწაული, რომელიც ყოველ წელს აღესრულება!





**თუკი გველები არ გამოჩნდნენ, ესე იგი, იმ წელს ადამიანები დიდ განსაცდელს უნდა ელოდნენ!**

**კუნძული კეფალონია (საბერძნეთი), რომელიც იონიის ზღვაში მდებარეობს, მარტო იმით არაა გამორჩეული, რომ ერთ-ერთი ყველაზე დიდი კუნძულია ამ ზღვაში.**

სწორედ ამ კუნძულზე, ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამის მიძინების დღეს, ყოველწლიურად აღესრულება სასწაული, რომელიც მნახველებს ანცვიფრებს – სოფელ მარკო პოლოში, ღვთისმშობლის მიძინების სამლოცველოში, დღესასწაულზე დასასწრებად და ხატის თაყვანის საცემად ტაძარში შხამიანი გველები მოდიან.

ხატს „გველის ღვთისმშობელს" უწოდებენ.

გადმოცემის თანახმად, იმ ადგილას, სადაც ახლა სამლოცველოა, ადრე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის დედათა მონასტერი ყოფილა.

ერთხელ, როდესაც სოფლის ყველა მამაკაცი ზღვაში სათევზაოდ იყო გასული, მონაზვნებმა მეკობრეთა გემი დალანდეს და შეშინებულებმა ჩარაზეს მონასტრის ჭიშკარი, თავად კი გულმოდგინედ ევედრებოდნენ დედა ღვთისმშობლის ხატს, დაეფარა მათი ღირსება.

მაგრამ ხის ალაყაფმა მეკობრეთა ძალას ვერ გაუძლო. როდესაც ისინი მონასტერში შეცვივდნენ, იქ, მონაზონთა ნაცვლად, შავი გველები დახვდათ.

მოძალადეები თავზარდაცემულნი გაერიდნენ იქაურობას. როგორც მარკო პოლოს მცხოვრებნი ამტკიცებენ, მათ სამლოცველოში სწორედ ის ხატია დაცული, რომელსაც ასე გულმოდგინედ ევედრებოდნენ მონაზვნები მეკობრეთაგან ხსნას და ეს ხატი პანაგია ფეტუსა გახლავთ.

ყოველი წლის მარიამობის წინა საღამოს მთებიდან ჩამოდიან შხამიანი გველები და სწორედ ამ სამლოცველოსთან იკრიბებიან, ტაძარში მორწმუნეებთან ერთად შედიან და წირვას ესწრებიან.

მიუხედავად იმისა, რომ სამლოცველოში უამრავი ხატია, გველები ღვთისმშობლის ხატისაკენ მიიწევენ და მასზე გართხმულები უსმენენ ღვთისმსახურებას.

რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, ეს შხამიანი გველები ამ დღესასწაულზე სრულიად უვნებელნი ხდებიან – მლოცველებს ისინი ხელში აჰყავთ, ტაძარში შესვლაში ეხმარებიან, ეთამაშებიან და ეფერებიან ხოლმე.



ეს შხამიანი გველები ამ დღესასწაულზე სრულიად უვნებელნი ხდებიან

წირვის დასრულებისთანავე გველები ჩამოცოცდებიან ღვთისმშობლის ხატიდან და კვლავ მთებს მიაშურებენ.

იმ წუთებიდან მათთან შეხებას არავის ურჩევენ, რადგან მათი შხამი მომაკვდინებელია. მარიამობას მათ დანახვას არავინ უფრთხის – ადგილობრივი თუ სტუმრად ჩასული მართლმადიდებლები სიხარულით ელიან ამ დიდი სასწაულის ხილვას.

მარკოპოლოელმა ქრისტიანებმა იციან, რომ, თუკი გველები არ გამოჩნდნენ, ესე იგი, იმ წელს ადამიანები დიდ განსაცდელს უნდა ელოდნენ. ასე იყო 1943 წელს – მაშინ ფაშისტებმა უამრავი ადამიანი დახვრიტეს – თითო ოჯახიდან თითო კაცი; გველები არ მოდიან ეკლესიაში მაშინაც, თუკი იმ წელს გვალვა ან მიწისძვრაა მოსალოდნელი.

---

# მეცნიერებმა მზის ანომალიური აქტივობა აღმოაჩინეს



**აშკარაა, რომ მზეს დედამიწელების თანამედროვე ტექნოლოგიები არ მოსწონს!**

**თქვენ ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ ბოლო დროს გახშირდა ძლიერი მაგნიტური შტორმები, რამაც გამოიწვია ჩრდილოეთის ნათება სხვადასხვა ქვეყანაში. განსაკუთრებით ძლიერი მაგნიტური ქარიშხლების დროს, aurora borealis ხდება უფრო სამხრეთ რეგიონებშიც კი, სადაც, როგორც წესი, თითქმის შეუძლებელია მათი დანახვა. ბოლო დრომდე მეცნიერები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ეს გამოწვეული იყო 11-წლიანი მზის ციკლის ჩვეული აქტივობის პიკით. თუმცა, როგორც ჩანს, რაღაც უჩვეულოს მოწმენი ვართ – მზის აქტივობა მწვერვალისთვისაც კი ზედმეტად მაღალია. ეს ნიშნავს, რომ ძლიერი მაგნიტური შტორმები ჩრდილოეთის ნათებით კიდევ უფრო ხშირად მოხდება და ეს ვითარება გაგრძელდება, შესაძლოა, მომავალი წლის შუა რიცხვებამდე.**

## რა ხდება მზეზე?

**მზის ციკლი**, როგორც წესი, გრძელდება 11 წელი. ამ პერიოდის განმავლობაში მზის აქტივობა მერყეობს მზის მინიმუმიდან მაქსიმუმამდე. მზის აქტივობის პიკი ხდება ციკლის შუა პერიოდში, როდესაც ვარსკვლავის მაგნიტური ველები ადგილებს იცვლიან.

მზის ბოლო ციკლი 2008 წლიდან 2019 წლამდე გაგრძელდა. ეს ნიშნავს, რომ მზე ამჟამად მიმდინარე ციკლის შუაშია და მაქსიმუმს უახლოვდება, მაგრამ ჯერ არ მიუღწევია. უნდა ითქვას, რომ უკვე 2023 წელს მეცნიერებმა აღმოაჩინეს გარკვეული ანომალია – მზის აქტივობამ უჩვეულოდ სწრაფად დაიწყო ზრდა.

შეგახსენებთ, რომ მზის აქტივობის დონის შესახებ ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი გზა მზის ლაქების დათვლაა. ამჟამად მზის ლაქების რაოდენობა რეკორდს შეადგენს ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. მაგალითად, 21 აგვისტოს NOAA-მ გამოაცხადა 299 მზის ლაქა. ეს არის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ბოლო 22 წლის განმავლობაში. კოსმოსური ამინდის პროგნოზირების ცენტრის (SWPC) არაოფიციალური შეფასებით 8 აგვისტოსთვის იყო 337 დღის მზის ლაქა. ასეთი რიცხვი 2001 წლის მარტის შემდეგ არ გამოვლენილა.

მზის ლაქების თვალყურის დევნება მნიშვნელოვანია. ფაქტია, რომ ისინი არა მხოლოდ წარმოდგენას ქმნიან მზის აქტივობის დონეზე, არამედ ხშირად წარმოადგენენ მზის ძლიერი აფეთქებების ეპიცენტრს მასიური კორონალური მასის გამოდევნით. ანუ, სწორედ მათ გამო ხდება დედამიწაზე გეომაგნიტური შტორმები და ჩრდილოეთის ნათება. ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, მშვენიერი, მომხიბვლელი სანახაობაა, მაგრამ სერიოზულ უბედურებას გვპირდება.

მეცნიერებს მუდმივად უწევთ თავიანთი პროგნოზების კორექტირება მზის აქტივობის პიკთან დაკავშირებით. 2023 წელს მკვლევრები ვარაუდობდნენ, რომ ეს მოხდებოდა 2024 წლის ბოლომდე. თუმცა, ამჟამინდელი პროგნოზების მიხედვით, მზე მაქსიმუმს 2025 წლის მეორე ნახევრამდე არ მიაღწევს. ეს ნიშნავს, რომ დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში მზე უფრო და უფრო აქტიური გახდება.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ზუსტ პროგნოზს ვერავინ გააკეთებს.

## რატომ არის საშიში მზის არანორმალური აქტივობა?

**მეცნიერები** არ აკეთებენ არანაირ აპოკალიფსურ პროგნოზებს, ყოველ შემთხვევაში, ამ დროისთვის. მაგრამ ისინი მაინც დარწმუნებულნი არიან, რომ მზის მაქსიმუმი ამ ციკლში ბევრად უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე ადრე ეგონათ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს საფრთხეს უქმნის უფრო ხშირ და უფრო ძლიერ გეომაგნიტურ შტორმს.

თანამგზავრები ყველაზე დაუცველები არიან მაგნიტური ქარიშხლების ზემოქმედების მიმართ. შეგახსენებთ, რომ 2022 წლის თებერვალში 38 Starlink თანამგზავრი ამოიღეს ორბიტიდან მაგნიტური ქარიშხლის გამო. 2023 წლის მაისში ძლიერმა გეომაგნიტურმა ქარიშხალმა Starlink-ის გაუმართაობა გამოიწვია. ცხადია, თუ დედამიწა უფრო მძლავრ გეომაგნიტურ შტორმებს შეხვდება, ბევრი სხვა თანამგზავრიც დაზარალდება.

გარდა ამისა, მაღალი ენერგიის ნაწილაკებმა, რომლებიც დიდი სიჩქარით ფეთქდებიან დედამიწის მაგნიტოსფეროში, შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენონ რადიოკავშირებს, რომლებსაც ეყრდნობიან სამხედროები, ავიახაზები, GPS სისტემები და ა.შ.

ეს ნიშნავს, რომ რაღაც მომენტში სატელიტურმა ნავიგაციამ შეიძლება შეწყვიტოს მუშაობა. ფრენები მთელ მსოფლიოში გაუქმდება და გადაიდება. გარდა ამისა, ენერგოსისტემის გაუმართაობის გამო შესაძლებელია დენის გლობალური გამორთვა. შესაძლოა დაზიანდეს კოსმოსური ხომალდებიც, რომლებიც გეომაგნიტური შტორმის დროს კოსმოსში იქნებიან.

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მზის ამჟამინდელი აქტივობა, თუმცა ის ანომალიურად გამოიყურება, ისტორიულ კონტექსტში საკმაოდ საშუალოა. პრობლემა ის არის, რომ კაცობრიობა ბევრად უფრო დაუცველი გახდა მზის მაქსიმუმის ზემოქმედების მიმართ ბოლო 100 წლის განმავლობაში სატელიტურ ტექნოლოგიებზე, ელექტრონულ მოწყობილობებზე და რადიოკომუნიკაციებზე ჩვენი დამოკიდებულების გამო.



**მეცნიერები არ აკეთებენ არანაირ აპოკალიფსურ პროგნოზებს, ყოველ შემთხვევაში, ამ დროისთვის. მაგრამ ისინი მაინც დარწმუნებულნი არიან, რომ მზის მაქსიმუმი ამ ციკლში ბევრად უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე ადრე ეგონათ. ეს საფრთხეს უქმნის უფრო ხშირ და უფრო ძლიერ გეომაგნიტურ შტორმს.**

ერთა ლიგა

# შკვე — „ბ“ ჯგუფში

**საქართველოს საფეხბურთო ნაკრები 7 სექტემბერს უეფას ერთა ლიგის 2024-25 წლების სეზონის გათამაშებას იწყებს. ვილი სანიოლის გუნდი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ჩეხეთის ნაკრებს დაუპირისპირდება. ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ერთა ლიგის საწყისი ორი ტურისთვის 23 ფეხბურთელი გამოიძახა. ერთა ლიგის მეორე ტურში საქართველოს ნაკრები 10 სექტემბერს სტუმრად ალბანეთს შეხვდება.**

საქართველოს ნაკრებში ორი დებიუტანტია – უკრაინული ჩერკასის წევრი, პოზიციით ნახევარმცველი **შოთა ნონიკაშვილი** და ყაზახური კაირათის მცველი **ლუკა გადრანი.**

ქართველი ფეხბურთელები მატჩების-




თვის მოსამზადებელ ეტაპს თბილისში 2 სექტემბერს იწყებენ.

საქართველოს ნაკრებმა ერთა ლიგის B1 ჯგუფში თამაშის უფლება C ლიგაში გამარჯვების შემდეგ მოიპოვა.

**საქართველოს ნაკრების შემადგენლობა:**

**მეკარე:** გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), გიორგი ლორია (ომონია არადიპუ, კვიპროსი), ლუკა გუგეშაშვილი (პანსერაიკოსი, საბერძნეთი).

**დაცვა:** გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი), გიორგი გველესიანი (პერსეპოლისი, ირანი), ლაშა დვალი (აპოელი, კვიპროსი), ლუკა ლოჩოშვილი (კრემონეზე, იტალია), გიორგი გოჩოლეიშვილი (კოპენჰაგენი, დანია), ირაკლი აზაროვი (შახტარი, უკრაინა), ლუკა გადრანი (კაირათი, ყაზახეთი), ჯიმი ტაბიძე (დინამო მახაჩყალა, რუსეთი).

**ნახევარდაცვა-თავდასხმა:** გიორგი ჩაკვეტაძე (უოტფორდი, ინგლისი), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), გიორგი ქოჩორაშვილი (ლევანტე, ესპანეთი), სანდრო ალთუნაშვილი (ვოლფსბერგერი, ავსტრია), შოთა ნონიკაშვილი (ჩერკასი, უკრაინა), გიორგი წიტაიშვილი (გრანადა, ესპანეთი), საბა ლობჟანიძე (ატლანტა იუნაიტედი, აშშ), გიორგი მიქაუტაძე (ლიონის ოლიმპიკი, საფრანგეთი), ბუდუ ზივზივაძე (კარლსრუე, გერმანია), ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია), ზურიკო დავითაშვილი (სენტ-ეტიენი, საფრანგეთი).

კოლექცია

# პრეზიდენტის ბრინჯაო მსოფლიო ჩემპიონატზე

**კანოისტმა ზაზა ნადირაძემ მედლების მდიდარ კოლექციას მსოფლიო ჩემპიონატების მორიგი ჯილდო შემატა.**

ევროპის ჩემპიონატების ოქროს, ვერცხლის და ორი ბრინჯაოს, ევროპული თამაშების ვერცხლის და მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის და ბრინჯაოს მედლების მფლობელმა ზაზა ნადირაძემ სამარყანდში (უზბეკეთი) დასრულებულ კანოისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე 200-მეტრიან დისტანციაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.



საქართველოს ნაკრების გამოცდილმა წევრმა, რომელიც იმავდროულად საქართველოს კანოეს და ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტიც არის, ფინალური რბოლისას ფინიშის ხაზი 39.180 წამში გადაკვეთა.

პირველი და მეორე ადგილები პოლონეთისა და ესპანეთის წარმომადგენლებმა დაიკავეს.

საგულისხმოა, რომ ზაზა ნადირაძემ ივნისში სეგედის (უნგრეთი) ევროპის ჩემპიონატზეც მესამე ადგილი დაიკავა.

20 წლის ექო

# ათენი 2004

21 აგვისტო

## კერპების მსხვრევა ნიკეაში

– დი-მას! დი-მას! დი-მას! – ზანზარებდა „ნიკეას“ ექვსათასიანი სპორტის სასახლე.

ტრიბუნები საბერძნეთის დროშების ტყეს დაეფარა.

ელინთა კერპია პიროს დიმასი – მასპინძლები მისგან მეოთხე ოლიმპიურ „ოქროს“ ელიან, გამაყრუებელი ყიჟინითა და შეძახილებით ამხნევებენ. ტრიბუნაზე მჯდარ ბერძნული დროშის ფერებში გამოწყობილ სამ პატარა დიმასს (პიროსის შვილებს) გულზე 4-იანი ახატია – მამიკო მეოთხედ გახდებაო ჩემპიონი.

თუმცა მასპინძლებს შიშიც აქვთ – მრისხანე მეტოქეები ჰყავსო ჩვენს კერპს.

ბერძნულის მცოდნე ქართველებმა მითარგმნეს, თუ რას ჩურჩულებენ ჩემს ზურგს უკან მსხდომი მასპინძლები. „ნიკეას“ დარბაზს „გეორგიელი“ გიორგის ეშინია ყველაზე მეტად.

გიორგი ასანიძე ჩვენი ჯილაა. სიდნეიში პიროს დიმასმა მას და გერმანელ მარკ ჰუსტერს მხოლოდ პირადი წონით (სამივემ ორჭიდში 385-385 კგ დაძლია) აჯობა.

„ნიკეას“ დარბაზში ღიმილი არ შორდება გიორგი ასანიძეს სახიდან. თანდათან უმატებს „სიჩქარეს“. მესამე ჯერზე 180 კილოგრამი უნდა აიტაცოს, მაგრამ... შტანგა ხელიდან უსხლტება. გაკვირვებულია ათლეტი, თავის ქნევით ჩავიდა სარბიელიდან – სიმძიმის გამოცვლისას მასპინძლებს შტანგის ღერძი („გრიფი“) დაუსველებიათ...

ეშმაკობამაც ვერ უშველა ელინელთა კერპს. ორჭიდის ჯამში 377,5 კილოგრამით მხოლოდ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ოლიმპიური ოქრო გიორგი ასანიძემ მოიპოვა.

– როდის იგრძენით, რომ ჩემპიონობა თქვენი იყო? – ჰკითხა პრესკონფერენციაზე გიორგის რუსმა კორესპონდენტმა.

– როცა კვარცხლბეკზე ოქროს მედალი ჩამომკიდეს.

– ბრინჯაოს პრიზიორ დიმასზე რას იტყვით? – ეს შეკითხვა მასპინძლებმა დაუსვეს ჩემპიონს.

წამიერი პაუზა. დარბაზი გაირინდა.

– პიროს დიმასი ბრინჯაოს პრიზიორი არ რის... იგი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონია და ასეთად დარჩება მარად.

იქუხა ტაშმა. კმაყოფილმა დიმასმა ოვაციის თანხლებით იქვე გადაკოცნა ღირსეული მეტოქე.

23 აგვისტო

## აკროპოლისი

ამ დღეს კიდევ ერთხელ მომეცა ათენის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერების საშუალება. უპირველესად, ცხადია, აკროპოლისი (ბერძნ. ἀκρόπολις > ἀκρός – ზედა, πολις პოლის – ციხე) მოვინახულე – ათენის ყველაზე მაღალი – 156-მეტრიან კლდოვან ბორცვზე მდებარე გამაგრებული ნაწილი, ე. წ. ზედა ქალაქი, რელიგიური და პოლიტიკური ცენტრი, რომელიც ციხესიმაგრეს წარმოადგენდა და იქ ომიანობისას ქალაქის მოსახლეობა თავს აფარებდა.

ჩვეულებრივ, ამ ადგილას ქალაქის მფარველი ღმერთების სახელზე აგებდნენ ტაძრებს. ძველი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნეში ცნობილი ბერძენი არქიტექტორის – ფიდიასის ხელმძღვანელობით ქალღმერთ ათენას ტაძარი აუშენებიათ. მისი დღევანდელი სახელი მომდინარეობს ძველი ბერძნული სიტყვიდან პართენოს (ρθένος – ქალწული). ეს ნაგებობა ბერძნული არქიტექტურის უნატიფეს ნიმუშად მიიჩნევა.

ახ. წ. VI საუკუნეში პართენონი ღვთისმშობლის სახელობის ქრისტიანულ ეკლესიად გადაუკეთებიათ. ათენის აღების შემდეგ ის თურქებს მეჩეთად უქცევიათ. შენობაში განთავსებული თურქული ჯარების ამუნიცია 1687 წელს ვენეციურ ყუმბართმტყორცნს აუფეთქებია. პართენონი მძიმედ დაზიანებულა.

26 აგვისტო

## ეგვიპტელი მუმია

ქართველი ფალავანი რამაზ ნოზაძე საფრანგეთში მსოფლიოს 2003 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალში საოცარი მონაცემების მქონე ეგვიპტელ მოჰამედ იბრაჰიმთან დამარცხდა და საბოლოოდ „ბრინჯაოს“ დასჯერდა.

დასასრული, დასაწყისი იხ. სრ. N78




ვინ იფიქრებდა, რომ აფრიკელი ჩვენებურს ბედისწერად ექცეოდა.

26 აგვისტოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ტურნირის ფინალში „ეგვიპტელმა მუმიამ“ 12:1 აჯობა ნოზაძეს, რასაც მისი ცნობილი მალაყი მოჰყვა, ხალიჩაზე შემოჭრილი მწვრთნელიც „არ დაინდო“. იბრაჰიმმა ეგვიპტეს 1948 წლის ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ პირველი ოქროს მედალი მოუტანა. რამაზ ნოზაძეს ვერცხლის მედალი ერგო.

## ქართული დავლური უზბეკურად

ათენის ჭიდაობის სასახლის ტრიბუნები 26 აგვისტოს საღამოსაც გადაიჭედა. ქომაგთა შორის მრავლად იყვნენ ქართველებიც. მიზეზიც ჰქონდათ: ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში ერთმანეთს ეცილებოდნენ ტიტულოვანი ფინელი მარკო ული-ჰანუკსელა და ევროპის 2001 წლის ჩემპიონი, სართიჭალაში დაბადებულ-გაზრდილი ალექსანდრე დოხტურიშვილი, რომელიც უზბეკეთის სახელით ჭიდაობდა.

„დოხტუარამ“, როგორც მას ეძახიან მეგობრები, აშკარად დაჯაბნა ფინელი, 4:1 გაიმარჯვა და ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა. უზომოდ გახარებულმა უზბეკეთის ეროვნული დროშით ორჯერ შემოურბინა ხალიჩას... მეორე დღეს „ანო ლიოსიას“ დარბაზში შევხვდით ერთმანეთს.

-ვერ დავიჯერე, რომ უკვე ოლიმპიური ჩემპიონი ვარ. მე ხომ შემთხვევით მოვხვდი ათენში.

-ხალიჩას უზბეკეთის დროშით რომ შემოურბინე, რა ინატრე? – ვკითხე სანდროს.

-ნეტავ, ეს საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა იყოს-მეთქი. ჩვენებური დავლური გამომივიდა უზბეკურად...

## კონიაკი და შამპანურები

ათენური ბატალიები დასრულდა. სამშობლოში დავბრუნდით. სამუშაო დღე იყო და „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში მელოდნენ. ჭოველიძის ქუჩის კუთხესთან ჯერ კიდევ წაურთმეველ გამომცემლობის შენობას რომ მივუახლოვდი, მთავარი შესასვლელიდან პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი გამოვიდა. რომ დამინახა, აღფრთოვანებული ჩემკენ წამოვიდა და გადამეხვია. „ვინ იცის, ცხოვრებაში რა ჯურის სადღეგრძელო არ შემისვამს, მაგრამ კაცის ცრემლების სადღეგრძელო არასდროს დამილევია და ახლა თავპატიჟი არ გამოიდოო“, – მითხრა ცხონებულმა. მიწისქვეშა გადასასვლელით გზის მეორე მხარეს ამოვყავით თავი და იქვე კაფეში შევედით. ერთი ბოთლი კონიაკი ძირამდე დავიყვანეთ და ასე შეჟუჟუნებულები ერთად მივედით რედაქციაში. იქ კიდევ არმაზ სანებლიძის კაბინეტში ცალკე გაიხსნა შამპანურები...

## სიხარულის ცრემლმა ზღვარი არ იცის

ამბობენ, ზღვარგადასული არაფერი ვარგაო, თურმე, გააჩნია რა შემთხვევაში. არ ვარგა კი არა, დღესაც ვერ გამოვსულვარ იმ შთამბეჭდავი წუთებიდან, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპეცკორესპონდენტის, ჩემი ახალგაზრდა მეგობრისა და კოლეგის ვაჟა დანელიას ზღვარგადასულმა სიხარულმა რომ მომგვარა. რანაირად შეიძლებოდა, სიხარულისთვის ზღვარი დაგედო იმ წუთებში, როდესაც ზურაბ ზვიადაურის სიმარჯვემ პირველი ოქროს მედალი გვაჩუქა ათენის ოლიმპიადაზე. ვის არ გაუხარდა ეს, მაგრამ უსაზღვრო სიხარულის გამოხატვაში ქართველთაგან ვაჟა დანელიას ტოლს ვერავინ დაუდებს. პირადად მე (დარწმუნებული ვარ, უამრავმა ტელემაყურებელმაც) ზურაბ ზვიადაურის ბრწყინვალე გამარჯვება მხოლოდ მაშინ დავაფიქსირე (როგორ არ მიყვარს ეს სიტყვა, მაგრამ სხვა უკეთესი ვერ შემირჩევია), როდესაც ვაჟა დანელია სკამიდან წამოფრინდა და აღტკინებულმა გამოხატა „ოქროს წამები“. მომეჩვენა, მან ზურაბ ზვიადაურს რამდენიმე წამით დაასწრო - ვიდრე სახელოვანი ფალავანი იაპონელ მეტოქეს ტატამზე დასცემდა, ვაჟა დანელია უკვე ზეიმობდა გამარჯვებას.

ვაჟა დანელიამ მაშინ პირველმა გამოხატა მთელი საქართველოს სიხარული. თვით ზურაბ ზვიადაურის მწვრთნელს – ჩვენს სათაყვანო შოთა ხაბარელსაც კი დაასწრო ამაში.

მაინც, სად შეასწრო თვალი ტელეოპერატორმა? სად ეცალა ამისთვის?, ამგვარი უნიკალური და დაუვიწყარი კადრები რომ გვაჩუქა. ქართველი ტელემაყურებლის გულწრფელი მადლობა არა მარტო გაზეთის კორესპონდენტს, იმ ტელეოპერატორსაც ეკუთვნის.

გადის დრო და, ხშირად მიდგას თვალწინ ვაჟა დანელიას დაუოკებელი ხტომა და მოზღვავებული სიხარულის ცრემლი. მოდი და თქვი, ზღვარგადასული არაფერი ვარგაო. ამგვარი სიხარულის ცრემლი ღმერთმა ნუ გამოგვილიოს ქართველებს. **რევაზ ჩხარტიშვილი,** მწერალი, პროფესორი

წლეულსაც ახდა ბატონი რეზოს ნატვრა – ქართველმა ოლიმპიელებმა პარიზის თამაშებზე 3 ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

წინ ახალი გამარჯვებებია.



**ვაჟა დანელია,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე**

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ნიკა მოდებაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნიკა მოდებაძე (პ/ნ 45001025292), ყვარელი, ს. ჭიკაანი, მე-11 ქ. №38

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ყვარელი, ს. ჭიკაანი, მიწა „ნაოტრები“ (საკადასტრო კოდი: 57.03.53.000.244)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 3000 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 30 აგვისტო, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 13 სექტემბერი, 14:45 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP101551024;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1015510

**6. მოვალე:** ნიკა მოდებაძე (პ/ნ 45001025292), ყვარელი, ს. ჭიკაანი, მე-11 ქ. №38.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP101551024; ლოტის ნომერი: 1015510).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 13 სექტემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ლევან ჯაფარიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლევან ჯაფარიძე (პ/ნ 13001027186), გურჯაანი, ს. ჭანდარი, პირველი ქუჩა №56

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

გურჯაანი, ს. ჭანდარი, „ჩალები“ (საკადასტრო კოდი: 51.11.58.305)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 3000 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 30 აგვისტო, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 13 სექტემბერი, 14:30 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP101548324;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1015483

**6. მოვალე:** ლევან ჯაფარიძე (პ/ნ 13001027186), გურჯაანი, ს. ჭანდარი, პირველი ქუჩა №56;
დავით ჯაფარიძე (პ/ნ 13001034044), გურჯაანი, ს. ჭანდარი, პირველი ქუჩა №56.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP101548324; ლოტის ნომერი: 1015483).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 13 სექტემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს კოტიკო ტაბატაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** კოტიკო ტაბატაძე (პ/ნ 21001042189), თერჯოლა, ს. სიქთარვა, მე-9 ქ. №129

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

თბილისი, დასახლება ავჭალა 2, ვაჟა-ფშაველას ქ. №13 (საკადასტრო კოდი: 72.13.15.190)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 89547.61 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 30 აგვისტო, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 13 სექტემბერი, 15:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP101551224;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1015512

**6. მოვალე:** კოტიკო ტაბატაძე (პ/ნ 21001042189), თერჯოლა, ს. სიქთარვა, მე-9 ქ. №129.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP101551224; ლოტის ნომერი: 1015512).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 13 სექტემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ალიკა მიტიჩაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ალიკა მიტიჩაშვილი (პ/ნ 13001004782), გურჯაანი, ს. ველისციხე, 35-ე ქუჩა №78

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

გურჯაანი, ს. ველისციხე (საკადასტრო კოდი: 51.07.61.086)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 3000 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 30 აგვისტო, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 13 სექტემბერი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP101546624;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1015466

**6. მოვალე:** ალიკა მიტიჩაშვილი (პ/ნ 13001004782), გურჯაანი, ს. ველისციხე, 35-ე ქუჩა №78;
მანანა სარაშვილი (პ/ნ 13001047977), გურჯაანი, ს. ველისციხე, მე-5 ქუჩა №6

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP101546624; ლოტის ნომერი: 1015466).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 13 სექტემბრის 12:00 საათამდე.

# საქართველოს საზღვარზე სპირიტუალური სექტის ლიდერები – მიჰაი და ადინა სტოიანები დააკავეს

**ხელვაჩაურის სასამართლოს გადაწყვეტილებით, სპირიტუალური კულტის ორი ლიდერი, საქართველოში, საექსტრადიციო პატიმრობაში იმყოფება.**

„კურიერის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, საერთაშორისო ძებნაში მყოფი რუმინელი ცოლ-ქმარი, სარფის გავლით, ქვეყანაში შემოსვლას 22 აგვისტოს ცდილობდა. მიჰაი და ადინა სტოიანებს საფრანგეთში პატიმრობა დაუსწრებლად აქვთ შეფარდებული. „რუსთავი 2“-მა მოიპოვა სექსუალური ტრეფიკინგის საქმეზე ინტერპოლის ბაზაში დაცული მასალები.

გამოძიების მასალებით დგინდება, რომ კრიმინალური ქსელი საფრანგეთში იოგას ცენტრის საფარქვეშ მუშაობდა. ქალების სექსუალური ექსპლუატაცია, გატაცება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, გაუპატიურების არაერთი ეპიზოდი – ეს იმ ბრალდებების არასრული ჩამონათვალია, რისთვისაც ცოლ-ქმარს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეძებდნენ.

კულტის დამფუძნებელი გრეგორიან ბივოლარუ პარიზის გარეუბანში ჩატარებული მასშტაბური სპეცოპერაციის დროს გასული წლის ნოემბერში დააკავეს. მაშინ, პოლიციამ იოგას ცენტრში უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი 26 ქალი იპოვა. თავად ცოლ-ქმარი ფრანგულ მართლმსაჯულებას გაექცა.

დაკავებულების ინტერესების დამცველი ადასტურებს, რომ საქმე ეხება სექსტრეფიკინგის ბრალდებას. ადვოკატი გვიყვება, რომ საფრანგეთის პროკურატურა მისი დაცვის ქვეშ მყოფებს ახალგაზრდა ქალების მონურ პირობებში ყოფნას ედავება. საუბარია გაუპატიურებისა და არაადამიანური მოპყრობის რამდენიმე ეპიზოდზე. აპირებდა თუ არა სტოიანების წყვილი იოგას ცენტრის საფარქვეშ უკანონო საქმიანობას საქართველოში – ადვოკატი ამბობს, რომ ინტერპოლით ძებნილი ცოლ-ქმარი ქვეყანაში ტურისტული მიზნით ჩამოვიდა. მათ საბანკო ანგარიშზე ნახევარი მილიონი ევრო აღმოაჩნდათ.

საქართველოში დაპატიმრებული მიჰაი და ადინა სტოიანები კულტის დამფუძნებელს გრეგორიან ბივოლარუს საკუთარ მენტორად მოიხსენიებენ. ისინი ამ თემაზე ხშირად ვიდეობლოგებსაც წერდნენ და დაჯგუფების პოპულარიზაციას სოციალურ ქსელებში ახდენდნენ.

სექსუალურ ძალადობებზე დაფუძნებული სექტის ლიდერებზე საფრანგეთის გარდა სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული ფინეთსა და რუმინეთშიც, მათ შორის ბავშვთა პროსტიტუციისა და გაუპატიურებების ბრალდებებით. მიჰაი და ადინა სტოიანებს საფრანგეთში უვადო პატიმრობა ემუქრებათ. საქართველოდან ცოლ-ქმრის ექსტრადიციის გადაწყვეტილებას ხელი, საბოლოოდ, იუსტიციის მინისტრმა უნდა მოაწეროს.


„ბედნიერი“ მოძალადენი



# ჯონ კირბი: ირანის თავდასხმის შემთხვევაში, აშშ ისრაელს დაიცავს!

**აშშ მზად არის, ირანის მხრიდან ისრაელზე თავდასხმის შემთხვევაში დაიცვას ისრაელი, – ამის შესახებ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში თეთრი სახლის პრესსპიკერმა ჯონ კირბიმ განაცხადა.**

კირბის თქმით, რთულია ირანის მხრიდან იერიშის შესაძლებლობის განსაზღვრა, თუმცა დაამატა, რომ თეთრი სახლი ირანული მხარის განცხადებებს სერიოზულად აღიქვამს.

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინი კვლავ მზად არიან, თავდასხმა განახორციელონ, თუ ამის გაკეთება ენდომებათ, რეგიონში გაძლიერებული სამხედრო მზადყოფნა გვაქვს“, – განაცხადა კირბიმ ისრაელის ტელევიზიასთან ინტერვიუში.

კირბის თქმით, აშშ-ის გზავნილი ირანის მიმართ ყოველთვის თანმიმდევრული იყო და ასეც იქნება.

„პირველი გზავნილია: ნუ გააკეთებთ ამას. არ არსებობს მიზეზი ესკალაციისთვის. არ არსებობს მიზეზი, რომ პოტენციურად დაიწყოს რეგიონული ომი; ხოლო მეორე: ჩვენ მზად ვიქნებით, დავიცვათ ისრაელი, თუ ეს საჭირო გახდება“, – განაცხადა კირბიმ.




# თვითმკვლელობამდე მიიყვანეს თუ... „შემთხვევით“ გადმოვარდა?!

**თბილისში, იუსტიციის სამინისტროს შენობის ეზოში, ახალგაზრდა ქალის ცხედარი იპოვეს. შემთხვევა 27 აგვისტოს მოხდა, თუმცა მედიისთვის მეორე დღეს გახდა ცნობილი.**

30 წლამდე ქალი სამინისტროს თანამშრომელია. ერთ-ერთი ვერსიით, იგი სამინისტროს შენობიდან გადმოვარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით. სწორედ ამ მუხლით იწყება ხოლმე გამოძიება, როცა საწყის ეტაპზე არ იკვეთება დანაშაულის კვალი.

იუსტიციის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სამინისტროს თანამშრომლის ტრაგიკულად გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ინფორმაციას საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს:

„იუსტიციის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სამინისტროს თანამშრომლის ტრაგიკულად გარდაცვალებასთან დაკავშირებით და უსამძიმრებს ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს და თანამშრომლებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში დაწყებულია გამოძიება. იუსტიციის სამინისტრო ატარებს ყველა ღონისძიებას გამოძიების მაქსიმალური ხელშეწყობისთვის.

იუსტიციის სამინისტრო, საქმის სენსიტიურობიდან გამომდინარე, მოუწოდებს ყველას, მაქსიმალური სიფრთხილით მოეკიდონ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელებას“.

# ალბანელ თაღლითს პატარა კომპანია თბილისშიც ჰქონდა!

**დუბაიში, ევროჯასტის ეგიდით ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ალბანელი ბიზნესმენი ერლინდ ცეკაი დააკავეს. ის „ქოლცენტრების საქმეზე“ საერთაშორისო ძებნაში იმყოფებოდა. გამოძიების ინფორმაციით, ცეკაი დაკავშირებულია Milton Group-ის თაღლითურ სქემასთან. მას სხვებთან ერთად ბრალი ედება ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებისთვის თაღლითური გზით მილიონობით ევროს გამოძალვაში.**

ინტერნეტ რესურსებში იძებნება ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ერლინდ ცეკაი ალბანეთში პირადად კურირებდა არაერთ ქოლცენტრს, პროგრამული უზრუნველყოფის კომპანია ჰქონდა თბილისშიც.

შეგახსენებთ, რომ Milton Group-ის ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ სქემას საგამოძიებო ფილმი მიუძღვნა ბრიტანეთის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა. BBC სქემის ჩრდილოვან მმართველად საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრს დავით კეზერაშვილს ასახელებს და მას „მისტერ ოფშორის“ სახელით მოიხსენიებს.

# მამაკაცი, რომელმაც გურჯაანში მეუღლე და კიდევ 2 პირი მოკლა, დაკავებულია

**შსს-ს** ინფორმაციით, გამოძიება ოჯახის წევრის დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის და 2-ზე მეტი პირის მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს, რაც 16-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

არსებული ინფორმაციით, ეჭვმიტანილი წარსულში ძალადობის ბრალდებით იყო ნასამართლევი, მან საპატიმრო ცოტა ხნის წინ დატოვა. მამაკაცმა ცეცხლსასროლი იარაღიდან ჯერ მეუღლეს, შემდეგ კი ორ პიროვნებას ესროლა, რომელიც ოჯახს რემონტის გაკეთებაში ეხმარებოდა.

„ცოლი დაიბარა, სახლი დასალაგებელი გვაქვსო. ის მუშა კიდევ, ხელოსანი ბიჭი, აბანოს უკეთებდა. არ ვიცი, რა მოხდა. დაშორებულები იყვნენ ცოტა ხანს და მერე ქალმა თქვა, რომ მაინც არ მომასვენებსო და შეურიგდა. ციხიდან ახლა გამოვიდა, ერთი-ორი თვე იქნება“, – ყვება ადგილობრივი.




# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ვლადიმერ შამანაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ვლადიმერ შამანაძე (პ/ნ 61009001072), წალკა, ს. სამება

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
წალკა, ს. სამება (საკადასტრო კოდი: 85.31.21.063)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 3000 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 30 აგვისტო, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 13 სექტემბერი, 14:15 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP101547424;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1015474

**6. მოვალე:** ვლადიმერ შამანაძე (პ/ნ 61009001072), წალკა, ს. სამება
გულიკო შამანაძე (პ/ნ 61009001073), წალკა, ს. სამება

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP101547424; ლოტის ნომერი: 1015474).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 13 სექტემბრის 12:00 საათამდე.

# ქიათურის სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალი სიცოცხლე

**სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით წარმატებით გრძელდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის – ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები.**

სააგენტოს ინფორმაციით, თეატრში მიმდინარეობს სახურავის განახლება, შენობის უკანა კედლის ჰიდროიზოლაცია, ფასადებისა და ინტერიერის რეაბილიტაცია, საინჟინრო ქსელების მოწყობა, კედლებისა და ორნამენტების რესტავრაცია. თითქმის დასრულებულია სახურავის განახლება და საინჟინრო კომუნიკაციების მონტაჟი.

სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას აღმოჩნდა, რომ თეატრის შენობის სხვადასხვა სართულზე ფრაგმენტულად იყო დაზიანებული სართულშუა რკინაბეტონის გადახურვა და ხის იატაკი. აღდგენითი სამუშაოებისას მოიხსნა დაზიანებული ფენები, დაიგო ახალი რკინაბეტონის ფილა და ხის იატაკი.

პროექტით გათვალისწინებულია დარბაზის გახმოვანებისა და განათების სისტემების განახლება. თეატრს ექნება ახალი სასცენო მექანიზაციის სისტემა, თანამედროვე სტანდარტების ხმის საიზოლაციო და აკუსტიკური პანელები. მიმდინარე წელს იგეგმება თეატრის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების დაწყებაც.







ჭიათურაში თეატრი 1894 წელს დაარსდა, 1910 წლიდან კი მას უკვე მუდმივი დასი ჰყავდა. ახალი შენობა 1949 წელს აიგო და თეატრს აკაკი წერეთლის სახელი მიენიჭა. შენობის ცენტრალურ ფასადზე გამოკვეთილია აკაკი წერეთლის ფიგურა, ხოლო ფრონტონს აგვირგვინებს ქანდაკება „გამარჯვება“. ჭერზე გამოსახულია ფერმწერ-მონუმენტალისტ რობერტ სტურუას მიერ შესრულებული ფერწერული პანო.

# სავედრებელი ღვთის მშობლისა...

## მარიამობის დღესასწაული და ნუსხური შრიფტით ნაბეჭდი წიგნი



**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა მარიამობის დღესასწაულზე 1809 წელს გამოცემული, ნუსხური შრიფტით ნაბეჭდი წიგნის ფოტოებს აქვეყნებს.**

„სავედრებელი ღვთის მშობლისა“ თანამედროვე სტანდარტებით დაბეჭდილი პირველი ქართული მინიატიურული წიგნია, რომელიც რაჭაში, სოფელ წესში დაიბეჭდა.

მინიატიურული ბეჭდური წიგნების ისტორია შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს. ღვთისმშობლის სავედრებლის ფორმატი კი, ერთ-ერთი ვერსიით, ქაღალდის და მელნის ეკონომიურმა გამოყენებამ განაპირობა.

1809 წელს „სამეუფოსა ქუუყანასა წესს“ ახალი სტამბა ერეკლე II-ის გამოცდილმა მესტამბემ, მოგვიანებით კი სოლომონ II-ის ქუთაისის სამეფო სტამბის რეფორმატორმა რომანოზ ზუბაშვილმა გამართა.

„სავედრებელი ღვთის მშობლისა“ ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში ინახება“.



# ისრაელში, 4 წლის ბიჭმა მუზეუმში 3 500 წლის ამფორა გატეხა...

**ისრაელში, ხეხტის მუზეუმში პატარა ბიჭმა უძველესი არტეფაქტი შემთხვევით გატეხა.**

**BBC**-ს ცნობით, 4 წლის ბიჭი მუზეუმში მამასთან იყო მისული, როდესაც 3 500 წლის ამფორას შეეხო და გატეხა.

ამფორა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნებოდა და დამცავი მინის გარეშე იყო გამოფენილი, რადგან მუზეუმში სჯერათ, რომ არქეოლოგიური აღმოჩენების შეზღუდვების გარეშე დემონსტრირებას „განსაკუთრებული ხიბლი“ აქვს.

როგორც ბიჭის მამა ყვება, ბავშვმა ამფორა „ოდნავ, მოწია“, რადგან „აინტერესებდა რა იყო შიგნით“. შედეგად არტეფაქტი დაეცა და გატყდა. თუმცა მუზეუმის თანამშრომლები მომხდარს გაგებით მოეკიდნენ და როცა გაარკვიეს, რომ ბიჭს ნივთი განზრახ არ დაუზიანებია, ის და მისი ოჯახი გიდის თანხლებით ახალ ტურზე დაპატიჟეს.

ამფორას კი რესტავრაციას ჩაუტარებენ და უახლოეს მომავალში კუთვნილ ადგილას დააბრუნებენ. ამასთან, მუზეუმში ობიექტების დამცავ მინაში მოთავსებას მომავალშიც არ აპირებენ.




**UN Women Georgia**-ს ორგანიზებით, მეწარმე ქალებისთვის ფართომასშტაბიან გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობის მისაღებად აპლიკაციების მიღება 31 აგვისტომდე გაგრძელდება. გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით, საგამოფენო ცენტრი „ექსპო ჯორჯია“ მეწარმე ქალების მასშტაბურ გამოფენა-გაყიდვას წელს უკვე მეოთხედ უმასპინძლებს.

გამოფენა ორი დღის განმავლობაში, 22-23 ნოემბერს გაიმართება და მასში მონაწილეობას მეწარმე ქალები მთელი საქართველოდან მიიღებენ. გამოფენის სტუმრებს ისინი საკუთარ ნაწარმს — საკვებსა და ღვინოებს, საჩუქრებსა და აქსესუარებს, თავის მოვლის საშუალებებს, ხელნაკეთ ნივთებსა და სათამაშოებს, ავეჯს, დეკორსა და სხვა ნივთებს წარუდგენენ.

დამთვალიერებლებს კი მათი შეძენა ადგილზევე შეეძლებათ. საგამოფენო სივრცეში ცალკე კუთხე იქნება გამოყოფილი იმ ტექნოლოგიური სტარტაპებისთვისაც, რომლებიც ქალების მიერაა დაფუძნებული.

გამოფენა-გაყიდვის მიზანი საქართველოში ქალთა მეწარმეობის პოპულარიზაციაა. იგი ხელს შეუწყობს მეწარმე ქალების ბაზრებზე წვდომას, საინტერესო ბიზნესკავშირების დამყარებასა და ახალი პერსპექტიული პარტნიორობების მოძებნას. მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ, გაიუმჯობესონ ბიზნეს უნარები, გაიარონ მენტორობის პროგრამა და ისარგებლონ მენტორების მხარდაჭერით, ისწავლონ საინვესტიციო წინადადების მომზადება და წარდგენა, შეხვდნენ სხვა მეწარმე ქალებს ევროპის და აზიის 13 ქვეყნიდან, მონაწილეობა მიიღონ ინვესტორებთან შეხვედრაში – **Expo Capital Quest** – ფიზიკურ ღონისძიებაში, რომელიც 2025 წლის გაზაფხულზე გაიმართება.

ღონისძიება გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით ტარდება. მისი მხარდამჭერები და ორგანიზატორები არიან: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (**EBRD**), თიბისი, „ექსპო ჯორჯია“, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა და სხვ.

## ამინდი 30 აგვისტოსთვის

**აღმოსავლეთი საქართველო:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +19, | დღე +36 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +13, | დღე +33 |

**დასავლეთი საქართველო:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +14, | დღე +34 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +10, | დღე +31 |
| თბილისი: | ღამე | +18, | დღე +33 |

## უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.6990; ევრო - 3.0134;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5681;
100 რუბლი - 2.9645; თურქული ლირა - 0.0793;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5870;
1000 სომხური დრამი - 6.9589.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**
დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 2 სექტემბერს